



დაუცველობა დაძლეულია?

შიდა ქართლის თემების უსაფრთხოების კვლევა



თამარა პატარაია და დევიდ ვუდი

მარტი, 2011 წელი



დაუცველობა დაძლეულია?

შიდა ქართლის თემების უსაფრთხოების კვლევა

თამარ პატარაია და დევიდ ვუდი

მადლობა

ანგარიში მოამზადეს თამარ პატარაიამ და დევიდ ვუდმა 2010 წლის დეკემბერსა და 2011 წლის იანვარში კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ ჩატარებული ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე. კვლევა წარმოადგენს უსაფრთხო მსოფლიოს (Saferworld) რეგიონული პროგრამის ნაწილს, რომლის მიზანია იმ საჭიროებათა უკეთ გაგება, რაც აუცილებელია კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების უსაფრთხოებისათვის, და მათზე რეაგირების მეთოდების გაუმჯობესება. უსაფრთხო მსოფლიოს საქმიანობა შიდა ქართლში მიმდინარეობს მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტთან (CIPDD) თანამშრომლობით. აქტივობები შიდა ქართლში, მათ შორის, აღნიშნული კვლევა, დაფინანსებულია ევროკავშირის სტაბილურობის ინსტრუმენტის ფარგლებში. ტექსტი ქართულ ენაზე თარგმნა თამარ სართანიამ. ქართული ენოვანი ტექსტის რედაქტორია ნინო ვადაქარია.

© უსაფრთხო მსოფლიო და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, მარტი, 2011. ყველა უფლება დაცულია. გამოცემის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გამოიცეს ხელახლა, შეინახოს ხელმისაწვდომ სისტემაში ან გადაიცეს ნებისმიერი ფორმით – ელექტრონულად, მექანიკურად, ფოტო-კოპირებით, ჩანერით ან სხვა სახით საავტორო ნებართვის გარეშე. უსაფრთხო მსოფლიო მიესალმება და ხელს შეუწყობს აღნიშნულ პუბლიკაციაში შესული მასალის შემდგომ გამოყენებასა და გავრცელებას.


სარჩევი

მოკლე შინაარსი	i
კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების საჭიროებები	i
პირადი უსაფრთხოება და უსაფრთხოების დამცველთა როლი	ii
დაძაბულობის ზრდისა და ძალადობის ესკალაციის პოტენციური	ii
კონტაქტი, ნდობა და რწმენა გამყოფი ხაზის გასწვრივ	iii
1. შესავალი	1
თემზე დაფუძნებული მიდგომა უსაფრთხოებისადმი	2
კვლევის არეალი	2
2. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების საჭიროებები	4
ვინ და როგორ ცხოვრობს ამ თემებში?	4
რა კრიტიკული საჭიროებების წინაშე დგანან თემები და როგორ იცვლება ეს საჭიროებები?	6
შეჯამება და დასკვნები	11
3. პირადი უსაფრთხოება და უსაფრთხოების დამცველთა როლი	12
რომელი ფიზიკური საფრთხე ახდენს გავლენას თემებზე?	12
რამდენად უსაფრთხოდ მიიჩნევენ მოსახლეობა საკუთარ თავს და რა ახდენს გავლენას უსაფრთხოების აღქმაზე?	14
ვინ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და როგორი დამოკიდებულება აქვთ თემებს უსაფრთხოების დამცველებთან?	17
შეჯამება და დასკვნები	19
4. დაძაბულობის ზრდისა და ძალადობის განახლების პოტენციური	20
როგორია თემებში ძალადობის განახლების პოტენციური?	20
რა მოვლენებს შეუძლია გამოიწვიოს დაძაბულობის ზრდა და რამდენად მოსალოდნელია ეს მოვლენები?	21
შეჯამება და დასკვნები	25
5. კავშირი, ნდობა და რწმენა გამყოფი ხაზის გადაღმა	26
რა სახისა და ხარისხის კავშირი არსებობს გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს მცხოვრებ თემებს შორის?	26
კონტაქტის რა სურვილი არსებობს და რა ფორმა უნდა მიიღოს მან?	27
ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ რა საჭიროებები არსებობს ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე (და როგორ შეუძლიათ მათ ხელი შეუწყონ ჩართულობას)?	29
რომელი ღონისძიებები იქნება ყველაზე ეფექტიანი	30
შეჯამება და დასკვნა	31
6. დასკვნა	32
ატოც-დირბი	32
ნიქოზ-მერეთი	33
ფლავისმან-ბერშუეთი	33
წითელუბან-ლამისყანა	33

გრაფები

გრაფიკი 1: რესპონდენტები, რომლებიც თვლიან, რომ მათ თემში მოსახლეობა შემცირდა	5
გრაფიკი 2: შიდა ქართლის თემების ყველაზე მწვავე პრობლემები	7
გრაფიკი 3: ფიზიკური დაუცველობისა და გარე დახმარების პრობლემების შედარება	8
გრაფიკი 4: უსაფრთხოებისათვის საშიში ინციდენტების სიხშირე	13
გრაფიკი 5: როგორ მთავრდება გატაცების ინციდენტები?	14
გრაფიკი 6: ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მცხოვრები ადამიანების ყველაზე მწვავე პირადი საფრთხეები	15
გრაფიკი 7: უსაფრთხოების მთავარი დამცველების აღქმა	17
გრაფიკი 8: უსაფრთხოების დამცველთა ეფექტიანობა ადგილობრივ პრობლემებთან გამკლავების თვალსაზრისით	18
გრაფიკი 9: დაძაბულობის ზრდის პოტენციალი	21
გრაფიკი 10: დაძაბულობის ზრდის შესაძლო გამომწვევი მოვლენები	22
გრაფიკი 11: მომავალი 12 თვის განმავლობაში დაძაბულობის გამომწვევი მოვლენების მოსალოდნელობა	24
გრაფიკი 12: ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ კავშირების სახე და ხარისხი	26
გრაფიკი 13: ჩართულობის ზომების მხარდაჭერა (მოიცავს “სრულად ვემხრობი” და “ვემხრობი” პასუხებს)	28
გრაფიკი 14: ადამიანის უფლებების დაცვის ყველაზე ეფექტიანი ღონისძიება	28
გრაფიკი 15: ჩართულობის განსამტკიცებელი გზების ეფექტიანობის აღქმა	30

შიდა ქართლში კვლევის ოთხი არეალის რუკა



მოკლე შინაარსი

ყველა მარჯვენაგანი მიუთითებს, რომ შიდა ქართლისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თემებში მდგომარეობა სულ უფრო სტაბილურდება. ახლა საუკეთესო დროა გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ თემებში ურთიერთ-სასარგებლო კავშირისა და ურთიერთობისათვის გზების მოსასიხჯად, ასევე, იმისათვის, რომ კონფლიქტის მხარეებმა კონფლიქტით დაზარალებულ თემებსა და უსაფრთხოების დამცველთა შორის კონსულტაციების პროცესი შეიმუშაონ და განავითარონ. ამ კონსულტაციების მეშვეობით ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებზე მცხოვრებ თემებს უსაფრთხოების საკითხებისა და „თამაშის წესების“ შესახებ უფრო მკაფიო ინფორმაცია ექნებათ – წყლის სათავე ნაგებობების მოვლით დაწყებული გამყოფი ხაზის გადაღმა ვაჭრობით დამთავრებული. ეს პროცესები დაზარალებული თემებისათვის შესაბამის ფორმატში საკუთარი პრობლემების დაფიქსირების გაზრდილ შესაძლებლობასაც გულისხმობს, განსაკუთრებით, ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის ფარგლებში.

არსებობს საშიშროება, თუ უსაფრთხოების საკითხებზე კონსულტაციების პროცესი არ დაიწყო, შესაძლოა მომდევნო თვეებში თემებში ცხოვრება გაუარესდეს. მართალია, ინციდენტების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ კონკურენცია ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე გავლენის მოსაპოვებლად და მისი სტატუსის ირგვლივ სულ უფრო წინა პლანზე გადმოდის. დაუდგენელი გამყოფი ხაზის „პატრულირებისა“ და „დაცვის“ მცდელობები სულ უფრო მეტ გავლენას ახდენენ იმ თემებზე, რომელთათვის საარსებო წყაროების მოპოვება ამ „რუხ ზონაში“ მოძრაობასა და მუშაობასთანაა დაკავშირებული. ამავდროულად, ამ პროცესის გარეშე რთული იქნება ისეთი სეზონური განმეორებადი პრობლემების მოგვარება, როგორიცაა ზაფხულში სარწყავ წყალზე და ზამთარში შემაზე ხელმისაწვდომობა.

კონსულტაციების პროცესებზე მსჯელობის ხელის შეწყობის მიზნით, წინამდებარე ანგარიშში 2010 წლის დეკემბერში/2011 წლის იანვარში ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ ოთხ სხვადასხვა ჯგუფში/არეალში – ატოც-დირბი, ნიქონ-მერეთი, ფლავისმან-ბერმუეთი, ნითელუბან-ლამისყანა – განთავსებული თემების საჭიროებების კვლევის შედეგებია გაანალიზირებული (იხილეთ რუკა). კვლევის შედეგები ასევე შედარებულია 2010 წლის ივლის/აგვისტოში ჩატარებულ წინა კვლევის შედეგებთან, რაც თემების აღქმაში მომხდარი ცვლილებების დანახვის შესაძლებლობას გვაძლევს.

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების საჭიროებები

- გაუკაცრიელება ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ კვლავ პრობლემად რჩება, განსაკუთრებით – **ატოც-დირბი** (თუმცა, შემცირებული მასშტაბით) და მას, ძირითადად, ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები განაპირობებენ. 2011 წელს რეგიონში გარედან მიღებული დახმარების შემცირების ფონზე მომატებული სიღარიბის დონემ შეიძლება უფრო წინ წამოინიშოს და შედეგად ხალხმა უფრო მტკივნეულად შეიგრძნოს საკუთარი დაუცველობა.
- 2010 წლის ივლისთან შედარებით, ფიზიკური უსაფრთხოება ნაკლებად პრიორიტეტულია, რაც ინციდენტების რაოდენობის შემცირებით აიხსნება. მოსახლეობას ა) გარედან მიღებული დახმარების შემცირებისა და ბ) ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან დაკავშირებული გაურკვევლობის ფონზე საკუთარი თემების სტაბილურობა უფრო ადარდება. ამას ემატება ისიც, რომ სეზონური პრობლემების თავიდან აცილება, როგორც იყო, მაგალითად, 2010 წლის ზაფხულის გვალვა, თემების შრით სათანადოდ არ იგეგმება.

- თემები მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებად შემდეგ ასახელებენ: ა) კონფლიქტის ზონასთან სიახლოვე და მასთან დაკავშირებული ფიზიკური საფრთხეები – განსაკუთრებით, **ატოც-დირბში**, რასაც ადმინისტრაციული გამყოფი ხაზისათვის პოტენციური კონკურენციის შიში განაპირობებს; ბ) სარწყავ წყალზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით, **ნითელუბან-ლამისყანაში**; გ) ფულის შოვნის ნაკლები შესაძლებლობა, განსაკუთრებით, **ფლავისმან-ბერშუეთსა და ნიქოზ-მერეთში**, სადაც მიაჩნიათ, რომ ზოგადი მდგომარეობა მათ თემებში გაუარესდა; დ) საძოვრებსა და შეშაზე ხელმიუწვდომლობა, განსაკუთრებით, **ნითელუბან-ლამისყანაში**.

თემების საჭიროებებზე რეაგირების რეკომენდაციები

- ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მცხოვრები თემების სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა შეიქმნას „თემის სტაბილურობის“ სტრატეგია, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ კრიზისზე რეაგირებით და თემებისთვის საერთო მიზნებსაც ასახავს. სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს და დაგეგმოს იმ საფრთხეების თავიდან აცილების გზები, რაც გაუკაცრიელებას იწვევს, განსაკუთრებით, ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეები **ატოც-დირბში**.
- სტრატეგიაში ასევე უნდა იყოს მოცემული ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერების ღონისძიებები, განსაკუთრებით, **ნიქოზ-მერეთსა და ფლავისმან-ბერშუეთში**. მიმოხილული უნდა იყოს იქ მცხოვრები თემებისათვის სოფლის მეურნეობის წარმოებისა და ვაჭრობის, მათ შორის, დაინტერესების შემთხვევაში, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადასწვრივ ვაჭრობის, გაზრდის შესაძლებლობები.
- დაბოლოს, სტრატეგიამ უნდა გაითვალისწინოს ის სეზონური პრობლემები, რომლებიც ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მცხოვრებ თემებზე, განსაკუთრებით, **ნითელუბან-ლამისყანაში**, ახდენენ გავლენას. ეს საკითხები მოიცავს ზაფხულში წყალზე, ზამთარში შეშაზე ხელმისაწვდომობას და საძოვრებზე ხელმისაწვდომობას თესვისა და მოსავლის აღების დროს.

პირადი უსაფრთხოება და უსაფრთხოების დამცველთა როლი

- გამოკითხულთა აზრის მიხედვით, ყველა ტიპის ინციდენტის სიხშირე 2010 წლის ივლისის შემდეგ შემცირდა. გამონაკლისს **ნიქოზ-მერეთში** სოფლის მეურნეობის, პროდუქტებისა და საქონლის ქურდობა წარმოადგენს. სროლები ყველაზე ხშირ ინციდენტს წარმოადგენს: **ატოც-დირბისა და ნიქოზ-მერეთის** ჯგუფებში გამოკითხულთა მიხედვით, თვეში მინიმუმ ერთხელ მაინც ისმის. მიუხედავად იმისა, რომ დაკავების შემთხვევები ზოგადად შემცირდა, **ატოც-დირბის** გამოკითხულთა ერთმა მეოთხედმა განაცხადა, რომ 2010 წლის ივლისის შემდეგ დაკავების ინციდენტი მათ თემებში ერთხელ მაინც მოხდა.
- ყველა ტიპის ინციდენტის შემცირების მიუხედავად, მოსახლეობა 2010 წლის ივლისთან შედარებით, ფიზიკურად ნაკლებ უსაფრთხოდ გრძნობს თავს, რასაც დაუდგენელი გამყოფი ხაზის „პატრულირებისა“ და „დაცვის“ მცდელობები განაპირობებს. ეს გულისხმობს: ა) **ატოც-დირბში** ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე გავლენის მოსაპოვებლად კონკურენციისას ძალადობის შესაძლო ზრდას, რაც სროლასა და დაკავებაში გამოიხატება (თუმცა, შემცირებული მასშტაბებით); ბ) **ფლავისმან-ბერშუეთში** ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას გამყოფი ხაზის გადაღმა ვაჭრობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო; გ) **ნითელუბან-ლამისყანაში** გამყოფი ხაზის გადაღმა მდებარე წყლის სათავესა და შეშაზე ხელმიუწვდომლობის პრობლემებს. **ნიქოზ-მერეთი** ერთადერთია, სადაც მოსახლეობის მიერ უსაფრთხოების აღქმა უფრო სტაბილურია.
- უსაფრთხოების დამცველთა შორის მოსახლეობა ყველაზე მეტად პოლიციით არის კმაყოფილი და, საჭიროების შემთხვევაში, სავარაუდოდ, მათ მიმართავს, მაგრამ ზოგადად უსაფრთხოების აქტორთა ეფექტიანობას ნაკლებ პოზიტიურად აფასებენ, ვიდრე 2010 წლის ივლისის კვლევის დროს. ამას გარე აქტორებისადმი მზარდი იმედგაცრუება განაპირობებს.

რეკომენდაციები უსაფრთხოების დამცველებისათვის ადგილობრივ საჭიროებებზე რეაგირების გასაუმჯობესებლად

- სადაც შესაძლებელია, ყველა აქტორმა ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის „პატრულირებისა“ და „დაცვის“ მცდელობა უნდა შეამციროს, რადგან ეს თემებზე ახდენს

გავლენას, ვინაიდან მათთვის საარსებო წყაროების მოპოვება ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან არსებული „რუხი ზონის“ ფარგლებში მოძრაობასა და მუშაობას-თანაა დაკავშირებული.

- აღნიშნული სხვადასხვა თემის სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული განსხვავებული მიდგომების შემუშავებას გულისხმობს, მაგალითად, ზოგიერთ თემში ფიზიკური უსაფრთხოება უნდა გაძლიერდეს (განსაკუთრებით, **ატოც-დირბა** და **ნიქოზ-მერეთი**), დანარჩენ თემებში კი უფრო ნამახალისებელი მიდგომა საჭირო, ეს ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაღმა მოძრაობას გაზრდის (მაგალითად, **ფლავისმან-ბერშუეთსა** და **ნითელუბან-ლამისყანაში**).
- ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მცხოვრები თემების მხარდაჭერისა და ნდობის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, ყველა აქტორმა პრიორიტეტი თემებთან კომუნიკაციის გაძლიერებას, კონსულტაციასა და ერთობლივ დაგეგმვას უნდა მიანიჭოს. ეს თემებისათვის ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის (კონსულტაციებამდე და კონსულტაციების შემდეგ) ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ღონისძიების შემუშავებას გულისხმობს.

დაძაბულობის ზრდისა და ძალადობის ესკალაციის პოტენციალი

- ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მცხოვრები თემები მომავალს უფრო ოპტიმისტურად უყურებენ, ვიდრე 2010 წლის ივლისში – დაძაბულობის ზრდას უფრო ნაკლები ადამიანი მოელის. ამის მიუხედავად, **ნიქოზ-მერეთის** რესპონდენტების ნახევარზე მეტი თვლიდა, რომ დაძაბულობის ზრდა ან ძალადობის ესკალაცია 2011 წლის პირველ ნახევარში მოსალოდნელი იყო.
- გამოკითხულთა აზრით, შემდეგი მოვლენები შეიცავს დაძაბულობის ზრდის/ძალადობის ესკალაციის რისკს: ა) პოლიტიკური ესკალაცია – თანაბრად ყველა ჯგუფში; ბ) სროლები – განსაკუთრებით **ატოც-დირბაში**; გ) ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადმონევა რუსეთის ან სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ, განსაკუთრებით, **ნიქოზ-მერეთსა** და **ფლავისმან-ბერშუეთში**. სხვა ჯგუფებისგან განსხვავებით, დაძაბულობის ზრდის მთავარ საფრთხედ **ნითელუბან-ლამისყანის** მოსახლეობა შეშასა და სარწყავ წყალზე ხელმისაწვდომობის პრობლემებს თვლის.
- ადამიანებს სჯერათ, რომ პოლიტიკური გარემო დასტაბილურდა და პოლიტიკური ესკალაცია 2011 წლის პირველ ნახევარში ნაკლებად სავარაუდოა. სამაგიეროდ, დაძაბულობის გამომწვევ ყველაზე სავარაუდო მოვლენებად სარწყავ წყალთან დაკავშირებული პრობლემები და სროლები დასახელდა. აღსანიშნავია, რომ 2010 წლის ივლისთან შედარებით მოსახლეობას ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადმონევა უფრო სავარაუდოდ მიაჩნია, რაც გამყოფ ხაზთან დაკავშირებულ გაურკვევლობას და მასზე გავლენის მოსაპოვებლად ძალისმიერი/ძალადობრივ კონკურენციის საფრთხეს ასახავს.

რეკომენდაციები თემებში დაძაბულობისა და ძალადობის აღბათობის შესამცირებლად

- საჭიროა პრევენციული ღონისძიებების გატარება, რათა სარწყავი წყალი (განსაკუთრებით, **ნითელუბან-ლამისყანაში**), სროლები (**ატოც-დირბა**) და ადმინისტრაციული ხაზის გადმონევა (**ნიქოზ-მერეთი** და **ფლავისმან-ბერშუეთი**) 2011 წელს პრობლემად არ იქცეს.
- შეიქმნას ამ სამი ტიპის ინციდენტების, ასევე, კონფლიქტთან დაკავშირებული უფრო ფართო პოლიტიკური საკითხების შესახებ თემებისათვის ინფორმაციის მიწოდების საშუალებები, ადგილობრივ დონეზე დაძაბულობას და შფოთვის შეანელებს.

კონტაქტი, ნდობა და რწმენა გამყოფი ხაზის გასწვრივ

- გამყოფი ხაზის გადაღმა მცხოვრებ ოსებთან კონტაქტი კვლავ ძალიან დაბალ დონეზეა, **ნითელუბან-ლამისყანის** გამოკლებით, სადაც ურთიერთობას უფრო მეტი ადამიანი ინარჩუნებს. მიუხედავად ამისა, **ფლავისმან-ბერშუეთში** ურთიერთობის შენარჩუნება უფრო რთული ხდება. კავშირები მცირეა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ფიქრობენ, ადამიანებს, ვინც გამყოფი ხაზის გადაღმა კონტაქტებს ინარჩუნებს, საქართველოს ხელისუფლება ეჭვის თვლით შეხედავს.
- ზოგადად, გამყოფი ხაზის გადასწვრივ ჩართულობის წასახალისებლად ყველა ღონისძიებისადმი მხარდაჭერა გაზრდილია, რასაც მზარდი სტაბილურობა და

დროის სვლა განაპირობებს, მაგრამ **ნიქოზ-მერეთის** მოსახლეობა მსგავს ღონისძიებებს კვლავ ყველაზე ნაკლებად უჭერს მხარს, რასაც ომის ფსიქოლოგიური გავლენა და „ფრონტის ხაზზე“ ცხოვრების განცდა განაპირობებს.

- ადამიანის უფლებების დაცვა ის ღონისძიებაა, რომელსაც ყველაზე მეტად უჭერენ მხარს გამყოფი ხაზის გადაღმა კონტაქტის დასამყარებლად. ეს ნიშნავს: ა) სოციალური დახმარების ზრდასა და თავდასხმებისა და გატაცებისგან დაცვის გაძლიერებას **ფლავისმან-ბერშუეთსა და ნიქოზ-მერეთში**; ბ) **ატოც-დირბში** ქონებისა და საცხოვრებლის საჭიროებების მოგვარებას; გ) **ნითელუბან-ლამისყანაში** მოძრაობის თავისუფლების უზრუნველყოფას. ამასთან, დამატებით საჭიროა ნიქოზ-მერეთის მოსახლეობისთვის ფსიქოლოგიური დახმარება. წინა კვლევის მსგავსად, ვაჭრობის ხელშეწყობა ყველაზე ეფექტიან ღონისძიებად მიიჩნევა, ასახავს რა მოსახლეობის სურვილს, გატარდეს თემისათვის სარგებლის მომტანი პრაქტიკული ღონისძიებები. ეს საშუალებას მისცემს თემებს, თავად გადაწყვიტონ, თუ როგორ და რანაირად იურთიერთონ ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ თემებთან.

რეკომენდაციები გამყოფი ხაზის გასწვრივ კონტაქტების, ნდობისა და რწმენის განსამტკიცებლად

- აუცილებელია გამყოფი ხაზის გასწვრივ კონტაქტებისთვის სტიგმის მოხსნა; ურთიერთობების შენარჩუნების მსურველებს არ უნდა ეშინოდეთ, რომ მათ ეჭვის თვალით შეხედავენ.
- აუცილებელია გადაიხედოს ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები და ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ ამ მექანიზმების მოქმედება, რათა ისინი კვლევის ოთხ ჯგუფში გამოთქმულ საჭიროებებს უფრო კარგად მიესადაგოს.
- შემუშავდეს ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადასწვრივ ვაჭრობას და ასევე ჩართულობის სხვა მექანიზმებს, რაც ორივე მხარეს მდებარე თემებისათვის იქნება სასარგებლო. ეს ღონისძიებები საქართველოს მთავრობის ან საერთაშორისო საზოგადოების მიერ არ უნდა იყოს ინიცირებული, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის სურვილის საფუძველზე ბუნებრივად უნდა განვითარდეს.

შესავალი

ჩველა გარეგანი მიუთითებს, რომ შიდა ქართლისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფი ადმინისტრაციული ხაზის გასწვრივ მდებარე კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თემებში მდგომარეობა სულ უფრო სტაბილურდება¹. 2009 წლის მეორე ნახევრიდან შეინიშნება ისეთი ფიზიკური უსაფრთხოების ინციდენტების შემცირების ტენდენცია, როგორცაა სროლა, ძარცვა და დაკავება/გატაცება. ამავდროულად, ჟენევის პროცესის ფარგლებში შექმნილი *ინციდენტების პრევენციის* და *რეაგირების მექანიზმი* ორივე მხარისათვის ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მართვის მეტ-ნაკლებად ეფექტიანი ინსტრუმენტი აღმოჩნდა. ეს ნიშნავს, რომ ახლა უფრო მეტი საშუალებაა იმისათვის, რომ გამყოფი ხაზის ორივე მხარის თემებში ურთიერთსასარგებლო კავშირისა და ურთიერთობის გზები გამოიცადოს, ასევე, იმისათვის, რომ კონფლიქტის მხარეებმა² კონფლიქტით დაზარალებულ თემებსა და უსაფრთხოების უზრუნველყოფელებს შორის უსაფრთხოების საკითხებზე კონსულტაციების პროცესი შეიმუშაონ და განავითარონ. ამ პროცესის მეშვეობით ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მცხოვრებ თემებს უსაფრთხოების საკითხებისა და „თამაშის წესების“ შესახებ მკაფიო ინფორმაცია ექნებათ – წყლის სათავე ნაგებობების მოვლით დაწყებული გამყოფი ხაზის გადაღმა ვაჭრობით დამთავრებული. ეს პროცესები ასევე დაზარალებული თემებისათვის შესაბამის ფორმატში საკუთარი პრობლემების დაფიქსირების გარდა შესაძლებლობასაც გულისხმობს, განსაკუთრებით, *ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის* ფარგლებში.

თუ უსაფრთხოების საკითხებზე კონსულტაციების პროცესი არ დაიწყო, მომდევნო თვეებში თემების ცხოვრება შეიძლება გართულდეს მართალია, ინციდენტების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ კონკურენცია ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე გავლენის მოსაპოვებლად და მისი სტატუსის ირგვლივ სულ უფრო წინა პლანზე გადმოდის. დაუდგენელი გამყოფი ხაზის „პატრულირებისა“ და „დაცვის“ მცდელობები სულ უფრო მეტ გავლენას ახდენენ იმ თემებზე, რომელთათვის საარსებო წყაროების მოპოვება ამ „რუხ ზონაში“ მოძრაობასა და მუშაობასთანაა დაკავშირებული. მართლაც, ეს ანგარიში უკვე ასახავს ადრეულ მაჩვენებლებს იმისა, თუ როგორ ახდენს ეს მცდელობები გავლენას თემების სტაბილურობისა და ადამიანების პირადი უსაფრთხოების განცდაზე, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ მოსახლეობას მომავალი სეზონური პრობლემების (როგორცაა ზაფხულში წყალზე და ზამთარში შეშაზე ხელმისაწვდომობა) მოგვარებაში ეჭვი ეპარება.

წინამდებარე ანგარიში ოთხი საკითხის მიმოხილვის გზით მსგავსი პროცესების განვითარების ხელშესაწყობად ინფორმირებას ისახავს მიზნად. ეს საკითხებია: 1) სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების ზოგადი მდგომარეობა და მათ წინაშე არსებული მწვავე საჭიროებები; 2) ინციდენტების სიხშირე, მათი გავლენა უსაფრთხოების განცდაზე და უსაფრთხოების დამცველი სხვადასხვა აქტორის საქმიანობის აღქმა; 3) დაძაბულობის ზრდის პოტენციური და შესაძლო გამომწვევი

- 1 კონფლიქტის მხარეები საკამათო ტერიტორიის და გამყოფი ხაზის ირგვლივ საერთო ტერმინოლოგიის გამოყენებაზე ვერ თანხმდებიან („სამხრეთ ოსეთი“ თუ „ცხინვალის რეგიონი“, „ადმინისტრაციული საზღვარი“ თუ „საზღვარი“). წინამდებარე კვლევაში საერთაშორისო საზოგადოების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინოლოგიით ვხელმძღვანელობთ.
- 2 „კონფლიქტში“ იგულისხმება უთანხმოებები, რომლის შედეგადაც მოხდა ძალადობები 1990-იან წლებში და ომი 2008 წლის აგვისტოში. ეს უთანხმოებები არსებობს საქართველოსა და რუსეთის მთავრობას შორის, თბილისსა და ცხინვალს და სოხუმს შორის, ასევე, რუსეთსა და საერთაშორისო საზოგადოებას შორის.

მიზეზები; 4) ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაღმა ამჟამად არსებული კავშირების დონე და სახეები, აგრეთვე, ის ღონისძიებები, რომელთაც ნდობისა და კონტაქტების გაზრდა შეუძლია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ანგარიშში მოცემული უსაფრთხოების საკითხების სურათი არასრულია, ვინაიდან ის სამხრეთ ოსეთში – ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მეორე მხარეს – მცხოვრები თემების მდგომარეობას არ ასახავს. სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობის შესახებ საჯარო ინფორმაცია მწირია, მაგრამ ნათელია, რომ იქ მცხოვრები თემები 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს მნიშვნელოვნად დაზარალდნენ და მძიმე პირობებში უწევთ ცხოვრება. იმედს ვიტოვებთ, რომ ამ თემების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საჭიროებების გამოკვლევა და მათზე რეაგირება ახლო მომავალში იქნება შესაძლებელი.

თემზე დაფუძნებული მიდგომა უსაფრთხოებისადმი

წარმოდგენილი კვლევა *უსაფრთხო მსოფლიოს* პროგრამის ნაწილია, რომელიც კავკასიის მასშტაბით კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თემებში უსაფრთხოებისადმი თემზე დაფუძნებული მიდგომების შემუშავებას ისახავს მიზნად. თემზე დაფუძნებული მიდგომა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმის უკეთ გაგებას, თუ რის გამო გრძნობს ხალხი თავს დაუცველად და შემდეგ ამ გამომწვევ მიზეზებზე რეაგირების ადგილობრივი კონტექსტისათვის მისაღები გზების მოძიებას. უფრო კონკრეტულად, ეს მიდგომა გულისმობს: 1) უსაფრთხოების შესახებ ადგილობრივი შეხედულებების შეგროვებასა და ამ შეხედულებებზე უსაფრთხოების ინციდენტებისა და სხვა პროცესების გავლენის ანალიზს; 2) უსაფრთხოების დამცველთა მხარდაჭერას, რათა მათ შეძლონ საფრთხის მიზეზებზე რეაგირებისათვის აუცილებელი ზომებისა და შიდა სისტემების შემუშავება; 3) თემის შესაძლებლობების ზრდას, რათა მათ უკეთ ჩამოაყალიბონ საკუთარი პრობლემები, უფრო თავდაჯერებულად მოითხოვონ დაუცველობის საჯარაუდო მიზეზებზე რეაგირება და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტის გზების შემუშავებაში. მიდგომა ასევე გულისხმობს საფრთხეების პრევენციას და არა მხოლოდ მათზე რეაგირებას.

უსაფრთხოებისადმი თემზე დაფუძნებულმა მიდგომამ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ქცევებსა და ურთიერთობებზე შეიძლება ტრანსფორმაციული გავლენა იქონიოს, როგორც თემის შიგნით, ისე თემსა და უსაფრთხოების დამცველთა შორის³. თემის შიგნით ამგვარი მიდგომა თემებს დაძაბულობისა და დაუცველობის ადგილობრივი მიზეზების განსაზღვრისა და მათზე რეაგირების მოხდენის საშუალებას აძლევს. იგი თემებსა და უსაფრთხოების დამცველთა შორის ნდობის განმტკიცებასაც უწყობს ხელს, რადგან ორივე მხარე საფრთხეების აღსაქვეთად შესაბამისი და ქმედითი ზომების მიღებას სწავლობს. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მართებულია კონფლიქტურ კონტექსტში: ხდება რა მისი საშუალებით უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ქცევების ტრანსფორმაცია თემებს შიგნით და ასევე თემებსა და უსაფრთხოების დამცველთა შორის, იზრდება შესაძლებლობა, რომ ორივე ჯგუფმა შეამციროს დაძაბულობა და ამითი აღკვეთოს ძალადობის ალბათობა.

ამ მიდგომის თანახმად, კვლევაში ადგილობრივი პრიორიტეტების, დაუცველობის ხარისხისა და მიზეზების, მომავალი დაძაბულობისა და ძალადობის შესაძლო საბაბების და გამყოფი ხაზის მოპირდაპირე მხარესთან კონტაქტების, ნდობისა და რწმენის განმტკიცების ალქმის გასაზომად გამოყენებულია როგორც გამოკითხვის, ისე თემების შიგნით ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიების მეთოდი. ავტორებს ჰქონდათ შესაძლებლობა, წინამდებარე ანგარიშის შედეგები 2010 წლის ივლისის-ექვსი თვის წინანდელ- შედეგებთან შეედარებინათ, რამაც შესაძლებელი გახდა უსაფრთხოების ალქმის ცვლილებების გამოვლენა. კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართში №1.

კვლევის არეალი

2008 და 2009 წლებში ჩატარებული წინასწარი კვლევების შემდეგ კვლევების ჯგუფმა შიდა ქართლი ოთხ არეალად – სოფელთა ჯგუფებად – დაყო მსგავსი მახასიათებლების საფუძველზე სოფლების ამ ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებების უკეთ გასაგებად. წინამდებარე ანგარიშში მათი გამოცდილებების შედარებითი ანალიზია მოცემული.

ატოც-დირბის ჯგუფის სოფლებს საომარი მოქმედებები 2008 წელს, გინდათ, 1990-იან წლებში ნაკლებად შეეხო. 2008 წლის აგვისტომდე ადმინისტრაციული გამყოფი

3 *Making Community Security Programmes more Effective: Synthesis Report* (Saferworld, 2010). გერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთვის ჩატარებული კვლევა (DFID).

ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ თემებს შორის ურთიერთობის ხარისხი მაღალი იყო. ამავდროულად, ეს სოფლები ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობას განიცდიან, რასაც მეტწილად მათი მოშორებული მდებარეობა განაპირობებს.

ნიქოზ-მერეთის ჯგუფის სოფლები 2008 წლის საომარი მოქმედებების შუაგულში მოექცა და, კვლევაში მონაწილე სხვა სოფლებთან შედარებით, მნიშვნელოვანი დანაკარგი და ფიზიკური ზიანი განიცადეს. ეს ჯგუფი სამხრეთ ოსეთის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან ახლოს მდებარეობს და ინციდენტებიც ხშირად ხდებოდა. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ამ რეგიონმა საერთაშორისო და სამთავრობო დახმარების დიდი ნაწილი მიიღო.

ფლავისმან-ბერშეთის სოფლების ჯგუფიც დაზარალდა აგვისტოს ომის დროს, მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე ნიქოზ-მერეთი. ეს სოფლები ძნელად მისაწვდომია და ამიტომ ჰუმანიტარული დახმარებისათვის მხოლოდ მეორად სამიზნე ჯგუფად იქცა. ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მეორე მხარესთან კონტაქტების ხარისხი სხვადასხვანაირია.

ნითელუბან-ლამისყანას არეალში შემავალი სოფლების ჯგუფი თავდაპირველად ცხინვალის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს არ ესაზღვრებოდა. მათზე კონფლიქტმა მხოლოდ მას შემდეგ იმოქმედა, რაც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ოსურმა და რუსულმა სამხედრო ძალებმა ამ სოფლების მოსაზღვრე ახალგორის რაიონი დაიკავეს. ამ რეგიონის თემები ეთნიკურად შერეულია და გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მყოფ ნათესავებთან და მეგობრებთან კავშირს ინარჩუნებენ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კვლევის მიერ ამ ჯგუფებში გამოვლენილი ტენდენციები მხოლოდ საინფორმაციო ხასიათს ატარებს და ერთი და იმავე ჯგუფის შიგნით შემავალ სხვადასხვა სოფელს შორის საკმაო განსხვავებები არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა და საერთაშორისო აქტორებმა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კონფლიქტის საპასუხოდ ზომების მიღებამდე ადგილობრივ თემებს კითხავენ რჩევას.

2

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების საჭიროებები

ანგარიშის ამ ნაწილში ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების მდგომარეობაა განხილული, კერძოდ, მათი შემადგენლობა, როგორ ცხოვრობენ ისინი, რას მიიჩნევენ უმთავრეს საჭიროებად, მათი აზრით, როგორ იცვლება მდგომარეობა მათ თემებში. ქვემოთ მოყვანილ ანალიზში მკაფიოდ იკვეთება ის საკითხები და სფეროები, რომლებიც ადგილობრივი და საერთაშორისო აქტორების მხრიდან დაუყოვნებლივ ყურადღებას საჭიროებს.

**ვინ და როგორ
ცხოვრობს ამ
თემებში?**

გაუკაცრიელება ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება, განსაკუთრებით, ატოც-დირბში. ამას, ძირითადად, ფიზიკური საფრთხე განაპირობებს და არა სიღარიბე.

რესპონდენტების თითქმის ნახევარი (52%) თვლის, რომ მათ თემში მცხოვრებთა რაოდენობა 2010 წლის ივლის-დეკემბრის პერიოდის განმავლობაში არ შეცვლილა. მეოთხედზე მეტი (39%) მიიჩნევს, რომ თემში ახლა მოსახლეობა შემცირებულია და მხოლოდ 9%-ს მიაჩნია, რომ მისი რაოდენობა გაიზარდა. ზოგადად, რესპონდენტების რიცხვი, ვინც თვლის, რომ მათ თემში მოსახლეობა შემცირდა – იგივე მაჩვენებელი 2010 წლის ივლისში 50%-ს შეადგენდა. მაგრამ რთულია შევაფასოთ, ნიშნავს თუ არა ეს გაუკაცრიელების მასშტაბის შემცირებას, რადგან წინა კვლევა გაცილებით დიდი დროის მონაცემებს მოიცავდა – 2008 წლის აგვისტოდან 2010 წლის ივლისამდე და არა ექვს თვეს, როგორც ამ კვლევის შემთხვევაშია. მიუხედავად ამისა, ეს მონაცემები მოწმობს, რომ თავშესაფარსა და საარსებო პირობების გაუმჯობესებაში ჩადებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების მიუხედავად, გაუკაცრიელება რეგიონისთვის მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. კვლევის ოთხ წუთზე გაუკაცრიელების შედარებითი გავლენა ისეთივეა, როგორც 2010 წლის ივლისში – ატოც-დირბი ყველაზე მეტად დაცარიელებულია, მას ნიქოზ-მერეთი მოსდევს (გრაფიკი 1).

გრაფიკი 1: რესპონდენტები, რომლებიც თვლიან, რომ მათ თემში მოსახლეობა შემცირდა⁴: თქვენს თემში წინა ექვს თვესთან შედარებით მეტი, ნაკლები თუ იმავე რაოდენობის ადამიანი ცხოვრობს?

	... 2010 წლის ივლის-დეკემბრის პერიოდში (ეს კვლევა)	... 2008 წლის აგვისტოსა და 2010 წლის ივლისს შორის პერიოდში (წინა კვლევა)
ატოც-დირბი	62%	86%
ნიქოზ-მერეთი	47%	60%
ფლავისმან-ბერშუეთი	31%	37%
წითელუბან-ლამისყანა	6%	15%
საშუალო მაჩვენებელი	39%	50%

2010 წლის ივლისის კვლევის დროს უფრო მყარი კორელაცია შეინიშნებოდა გაუკაცრიელებასა და, ზოგადად, უსაფრთხოების შეგრძნებას შორის, და არა სიღარიბის დონესთან. იგივე კორელაცია 2010 წლის დეკემბრის კვლევის შედეგებშიც შენარჩუნებულია. რესპონდენტები ატოც-დირბიდან – რომელიც გაუკაცრიელების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა – უფრო მეტად ლეღავდენ ძალადობის შესაძლო განახლების, სროლებისა და ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო, ვიდრე გამოკითხულები სხვა ჯგუფებიდან. ყველაზე ნაკლებად ეს საკითხები წითელუბან-ლამისყანას მოსახლეობას აღეგებს, სადაც გაუკაცრიელების მაჩვენებელი ყველაზე დაბალია. ამავდროულად, ატოც-დირბიში გაცილებით ნაკლებმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ მათი ოჯახის შემოსავალი თვეში 50 ლარზე ნაკლებია, ვიდრე ეს სხვა ჯგუფებში დაფიქსირდა. ამ მხრივ, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით წითელუბან-ლამისყანა გამოირჩეოდა.

სიღარიბის მაღალი დონე მომავალში გაუკაცრიელების გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს, განსაკუთრებით, რეგიონში გარე დახმარების შემცირების ფონზე.

2010 წლის ივლისის შემდეგ სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მდებარე სოფლების ეკონომიკური სურათი არსებითად არ შეცვლილა. შიდა ქართლში საშუალო შემოსავალი ძალიან დაბალია და ბევრი ოჯახი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. ხუთიდან თითქმის ოთხმა რესპონდენტმა (87%) კვლევის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე 200 ლარზე⁵ (დაახლოებით 80 ევრო) ნაკლები დახარჯა, ნახევარზე მეტმა (57%) 100 ლარზე (დაახლოებით 40 ევრო) ნაკლები და 17%-მა 50 ლარზე (დაახლოებით 20 ევრო) ნაკლები. იგივე მაჩვენებელი 2010 წლის ივლისში, შესაბამისად, 81%, 49% და 12% იყო. შედარებით ღარიბი ადამიანების რაოდენობა გაცილებით აღემატება სასოფლო რეგიონის საშუალო მაჩვენებელს – თვეში 90 ლარზე ნაკლებს მხოლოდ 12% ხარჯავს⁶. წითელუბან-ლამისყანასა და ფლავისმან-ბერშუეთში სიღარიბის დონე განსაკუთრებით მაღალია: ამ სოფლებში თვეში 50 ლარზე ნაკლებს, შესაბამისად, ოჯახების 30% და 24% ხარჯავს. იგივე მაჩვენებელი ნიქოზ-მერეთში 9%-ს შეადგენს, ხოლო ატოც-დირბიში – 6%-ს.

ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მცხოვრები ადამიანები შემოსავლის მისაღებად სოფლის მეურნეობაზე (81%) და/ან სოციალური დახმარებასა და პენსიებზე (57%) არიან დამოკიდებული. როგორც ეს 2010 წლის ივლისის კვლევაში გამოვლინდა, ძალიან სუსტად განვითარებული კერძო სექტორის პირობებში, სახელმწიფო დახმარებაზე მეტისმეტი დამოკიდებულებისა და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის შემცირების – მათ შორის, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ თემებთან ვაჭრობის არარსებობის – პირობებზე ადგილობრივი ეკონომიკა ისე არის მოწყობილი, რომ ეკონომიკური ზრდა თითქმის გამორიცხულია. ამავდროულად, როგორც ქვემოთ არის ახსნილი, ფიქრობენ, რომ ფულის შოვნის ნაკლები შესაძლებლობა აქვთ; ეს იმიტომ, რომ საერთაშორისო დახმარება რეგიონში თანდათან მცირდება. ამ დახმარების შეწყვეტამ შეიძლება უფრო მეტი ძირეული პრობლემა წარმოაჩინოს და მოსახლეობას რეგიონის დატოვებისკენ უბიძგოს.

4 გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ რიგ შემთხვევებში შეინიშნება 1-2%-ით სხვაობა გრაფიკებში მოცემულ და ტექსტში მოყვანილ ციფრებს შორის, იმის გამო რომ ცალკეული დაუმრგვალებელი ციფრები შეგროვებდა კატეგორიებში და შემდეგ შეგროვებული ციფრები დამრგვალდა ყველაზე ახლო ციფრამდე.

5 გამოცემის მომზადებისას 1 ევრო შეადგენდა დაახლოებით 2.3 ლარს.

6 კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2010), *კავკასიის პარამეტრი 2010, საქართველო*. ელექტრონული მონაცემთა ანალიზიდან 2010 წლის თებერვალში, www.crrc.ge/oda/ on 1 February 2011.

ფაქტორები, რომლებიც თემებსა და მათ საჭიროებებზე ახდენენ გავლენას

ამ კვლევამ ცხადყო, რომ თემების საჭიროებებზე შემდეგი ფაქტორები ახდენენ გავლენას:

გეოგრაფია და კონფლიქტის გამოცდილება. თემებს განსხვავებული საჭიროებები აქვთ, რასაც ისეთი გეოგრაფიული ფაქტორები განაპირობებენ, როგორებიცაა ობოლაციის დონე და ბაზრებთან სიახლოვე. ამავდროულად, კონფლიქტის გამოცდილება განსაზღვრავს, თუ როგორ აფასებს ხალხი თავის ამჟამინდელ მდგომარეობას.

ნაკლები ინციდენტები. ადმინისტრაციული გამოყოფი ხაზის მიერ გაყოლებაზე ინციდენტების რაოდენობა შემცირდა. ამის მიუხედავად, სიხშირე და ინციდენტების სახეები განსხვავებულია – ატოც-დირბში ინციდენტების სიხშირე ყველაზე მაღალია. მას, თანმიმდევრობით, ნიქოზ-მერეთი, ფლავისმან-ბერშუეთი და წითელუბან-ლამისყანა მოსდევს. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ მესამე ნაწილშია საუბარი.

გარე დახმარების შემცირება. რეგიონში დახმარების დონე მცირდება და 2011 წლის ბოლოსკენ საერთოდ შეწყდება. 2008 წლის ოქტომბერში საერთაშორისო დონორებმა დახმარების სამწლიანი პაკეტის პირობა დადეს: \$1, 743 მილიონი პირველ წელს; \$1, 680 მილიონი მეორე წელს და \$1,111 მილიონი მესამე წელს, რომელიც 2011 წლის ოქტომბერში მთავრდება.

გვალვა 2010 წლის ზაფხულში. 2010 წლის ზაფხულში გვალვამ მთელ რეგიონზე იმოქმედა, მაგრამ ყველაზე მეტად კონფლიქტის შედეგად წყლის მიღებასთან დაკავშირებული პრობლემის ფონზე ადმინისტრაციული გამოყოფი ხაზის გაყოლებაზე მდებარე თემები დაზარალდნენ.

სეზონური საჭიროებები. თემების საჭიროებები წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირია. მაგალითად, წყლის პრობლემა ზაფხულში იჩენს თავს, ხოლო შემისა – ზამთარში. მოსავლის აღებისას მნიშვნელოვანია უსაფრთხოება, ხოლო მოსავლის აღების შემდეგ – ბაზრებზე ხელმისაწვდომობა.

ადაპტაცია. ადამიანები ადაპტირდებიან იმ პირობებთან, სადაც ცხოვრობენ. ისინი შეიძლება დაუცველ გარემოში ცხოვრებას მიეჩვიონ ან საქონლის გასაღების მიზნით ახალი ბაზრების მოძიება დაიწყონ.


რა კრიტიკული საჭიროებების წინაშე დგანან თემები და როგორ იცვლება ეს საჭიროებები?

ადამიანები თემების ყველაზე მწვავე პრობლემად კონფლიქტის ზონასთან სიახლოვეს ასახელებენ, რაც ფიზიკური დაუცველობით არის განპირობებული.

გამოკითხულთა 48% მათი თემის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემიდან ერთს კონფლიქტის ზონასთან სიახლოვეს ასახელებს (გრაფიკი 2). 2010 წლის ივლისში იგივე მაჩვენებელი 55% იყო; ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, კონფლიქტური კონტექსტით განპირობებული საფრთხის აღქმა შემცირდა. კონფლიქტის ზონასთან სიახლოვე ყველაზე დიდ გავლენას ატოც-დირბზე ახდენს (კონფლიქტის ზონასთან სიახლოვეს გამოკითხულთა 74% სამიდან ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად ასახელებს). მას მოსდევს ნიქოზ-მერეთი (66%) და ფლავისმან-ბერშუეთი (37%); წითელუბან-ლამისყანის გამოკითხულებიდან ამ პრობლემას მწვავედ არავინ მიიჩნევს.

როგორც 2010 წლის ივლისის კვლევამ გამოავლინა, კონფლიქტის ზონასთან სიახლოვე ყველაზე მწვავე პრობლემად მასთან დაკავშირებული ფიზიკური დაუცველობის გამო მიიჩნევა. მაგალითად, ატოც-დირბის მოსახლეობა, სადაც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტები ყველაზე ხშირად ხდება, ყველაზე უფრო შეწუხებულია ამ პრობლემის გამო: ნიქოზ-მერეთი ინციდენტების სიხშირით და მათ გამო წუხილით მეორე ადგილზეა, ფლავისმან-ბერშუეთი – მესამე ადგილზე; ხოლო წითელუბან-ლამისყანაში ინციდენტები ძალიან იშვიათია და მათ გამო წუხილი არავის გამოუთქვამს. მართლაც, საგულისხმოა, რომ იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც კონფლიქტის ზონასთან სიახლოვეს მთავარ პრობლემად ასახელებს, ინციდენტების შემცირების პარალელურად შემცირდა – 55%-იდან 48%-ამდე.

გრაფიკი 2: შიდა ქართლის თემების ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები რა არის თქვენი თემის/სოფლის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? (სამი ყველაზე ხშირად დასახელებული)



მოსახლეობა უფრო მეტად განიცდის გარე დახმარების შემცირების გავლენას თემის მდგრადობაზე, ვიდრე ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს


მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის ზონასთან სიახლოვე და მასთან დაკავშირებული ფიზიკური საფრთხეები რესპონდენტების მთავარ პრობლემად აღიქმება, თემებს ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები 2010 წლის ივლისთან შედარებით ნაკლებად აღელვებთ. სამაგიეროდ, მოსახლეობა გარე დახმარების სიხშირისა და ბუნების გამო უფრო მეტად წუხს. მაგალითად, მოსახლეობას კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემებისათვის სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დახმარების ნაკლებობა უფრო მეტად აწუხებს – თემისთვის სამი ყველაზე მწვავე პრობლემიდან ერთ-ერთად ამას გამოკითხულთა 16% ასახელებს – 2010 წლის ივლისის მონაცემებით 8%-თან შედარებით. ამის მსგავსად, ადგილობრივ საჭიროებებზე ხელისუფლების რეაგირების დაბალ დონეს მწვავე პრობლემად, 2010 წლის ივლისის 7%-თან შედარებით, 17% ასახელებს. ამავდროულად, გამოკითხულთა 6%-მა სროლები და 10%-მა ძალადობის ესკალაცია მწვავე პრობლემებად დაასახელა. იგივე მაჩვენებელი 2010 წლის ივლისში, შესაბამისად, 11% და 18% იყო. ეს ცვლილება ყველაზე მეტად ატოც-ღირბშია თვალმისაცემი (გრაფიკი 3).

ადამიანები უფრო მეტად წუხან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის ზუსტ მდებარეობასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო – იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც ამას მათი თემის სამი მწვავე გამოწვევიდან ერთ-ერთად ასახელებს, 2010 წლის 4%-თან შედარებით, 9%-მდე გაიზარდა. ეს იმიტომ, რომ თემებისთვის ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებზე ცხოვრებასთან დაკავშირებული რიგი საკითხების მოგვარების „წესები“ კვლავ ბუნდოვანია – ფაქრობის შესაძლებლობით დანყებული, შემოს შეგროვებით დამთავრებული.

პრიორიტეტების ეს ცვლილება ნაწილობრივ 2010 წლის ივლის-დეკემბერს შორის პერიოდში ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებზე ინციდენტების შემცირებით შეიძლება აიხსნას. ამის მიზეზი შესაძლებელია ისიც იყოს, რომ საერთაშორისო დახმარების დონე შემცირდა და მთლიანად დასრულდება 2011 წლის ბოლომდე⁷. „სოფლის მოსახლეობა ისეთ სიღარიბეში ცხოვრობს, უსაფრთხოებაზე უკვე აღარც ვფიქრობთ“⁸.

7 2008 წლის 22 ოქტომბერს გამართულ დონორთა კონფერენციაზე საერთაშორისო საზოგადოებამ საქართველოს დასახმარებლად კონფლიქტის შემდგომი 3 წლის განმავლობაში \$4,536 მილიონი განსაზღვრა: პირველ წელზე – \$1,743 მილიონი, მეორე წელზე – \$1,680 მილიონი, მესამე წელზე – \$1,111 მილიონი.
 8 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, ქალი, წითელუბან-ლამისყანა.

გრაფიკი 3: ფიზიკური დაუცველობისა და გარე დახმარების პრობლემების შედარება
დაასახელეთ თქვენი თემის/სოფლის ყველაზე მწვავე პრობლემები (სამი ყველაზე ხშირად დასახელებული)



თემების მდგრადობაზე გავლენას ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან დაკავშირებული მიმდინარე გაურკვევლობაც ახდენს, განსაკუთრებით, ატოც-დირბში, რასაც გამყოფი ხაზის გამო ძალადობის შესაძლო ესკალაცია განაპირობებს

ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან დაკავშირებული გაურკვევლობა ყველაზე მწვავედ ატოც-დირბში ჩანს, სადაც ეს საკითხი თითქმის ოთხში ერთმა რესპონდენტმა დაასახელა. 2010 წლის ივლისში ამ პრობლემაზე არც ერთი რესპონდენტი არ საუბრობდა. ამავდროულად, ატოც-დირბში სხვა ჯგუფებთან შედარებით ორჯერ მეტი რესპონდენტი ამ საკითხს (23% – საშუალო 9% – თან შედარებით), ძალადობის ესკალაციის საფრთხეს (21%; 10%) და სროლებს (13%; 6%) მათი თემის წინაშე არსებულ სამ ყველაზე მწვავე პრობლემად ასახელებს (იხ. გრაფიკი 3), ეს მიუთითებს იმაზე, რომ კონფლიქტური მდგომარეობა ამ ტერიტორიაზე უფრო არასტაბილურია და, რომ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის და მისი სტატუსის გამო ძალადობის ესკალაციის შესაძლო საფრთხე ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მდებარე სხვა თემებთან შედარებით უფრო დიდია. მართლაც, ინციდენტების უმეტესობა, განსაკუთრებით, სროლები და მოტაცება, ამ რეგიონში ხდება და ეს ერთადერთი რეგიონია, სადაც მწვავე პრობლემებს შორის, რესპონდენტების მცირე რაოდენობის მიერ, მაგრამ მაინც დასახელდა – გატაცებები, დაძაბულობა ეთნიკურ ნიადაგზე და პოლიციის პოსტების ნაკლებობა. ამ სოფლების შედარებითი დაუცველობა შეიძლება მათი იზოლირებული მდებარეობით იყოს განპირობებული – სხვა სამ სამიზნე რეგიონთან შედარებით, ატოც-დირბი საერთაშორისო ყურადღებას ყველაზე ნაკლებად იპყრობს.

კონფლიქტის გავლენა წყლის ხელმისაწვდომობაზე

სარწყავი და სასმელი წყლის პრობლემები ყველაზე მეტად კონფლიქტს უკავშირდება, რადგან წყლის ბევრი სათავე ნაგებობა ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მდებარეობს. ვინაიდან თემებს ამ ხაზის გადაკვეთის შესაძლებლობა არ აქვთ, მათ ამ ნაგებობების გაწმენდა და მოვლა არ შეუძლიათ. ზოგჯერ მიჩნეულია, რომ სათავეები ხელოვნურად არის დაბლოკილი ან სხვა მიმართულებით გადასროლილი, რათა წყალი ქართულ თემებს არ მიეწოდოს. რეგიონში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის და, სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულების გათვალისწინებით, საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად სარწყავი წყლის ხელმისაწვდომობა აუცილებელია. სამხრეთ ოსეთიდან წყლის მიწოდების საკითხი სამხრეთ ოსეთისათვის გაზის მიწოდების საკითხის პარალელურად ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატში განიხილება. ჯერჯერობით, ორივე მხარისთვის მისაღები ვერა არ მოიძებნა.

ზოგადად, სარწყავი წყალზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა უფრო სასწრაფოდ მოსაგვარებელ საკითხად იქცა, განსაკუთრებით, წითელუბან-ლამისყანაში, რასაც ნაწილობრივ ზაფხულის ხვატი განაპირობებს.

მეორე უმწვავეს საჭიროებად სარწყავი წყლის ხელმისაწვდომობა არის მიჩნეული – ამას მათი თემის წინაშე არსებული სამი ყველაზე მწვავე პრობლემიდან ერთ-ერთად რესპონდენტთა 44% ასახელებს. ეს საკითხი ახლა უფრო კრიტიკულად არის მიჩნეული, ვიდრე 2010 წლის ივლისის კვლევის დროს – მაშინ მას პრიორიტეტულად მხოლოდ 36% თვლიდა. სარწყავი წყლის ხელმისაწვდომობა განსაკუთრებულ პრობლემას წითელუბან-ლამისყანაში წარმოადგენს, სადაც მას თემის ყველაზე მწვავე სამ პრობლემას შორის გამოკითხულთა 99% ასახელებს. ამას მოსდევს ნიქოზ-მერეთი (68%), ფლავისმან-ბერშუეთი (31%) და ატოც-დირბი (16%). ასეთ განაწილებას ნაწილობრივ განაპირობებს ის ფაქტი, რომ წითელუბან-ლამისყანას კონფლიქტთან დაკავშირებული ფიზიკური უსაფრთხოების საკითხები ნაკლებად შეეხო და არა ის, რომ ეს საკითხი აქ უფრო მწვავეა, ვიდრე სხვა ჯგუფებში. მართლაც, წითელუბან-ლამისყანის არც ერთმა გამოკითხულმა კონფლიქტის ზონასთან სიახლოვე, ძალადობის ესკალაციის საფრთხე, სროლები, ადმინისტრაციული ხაზის მდებარეობის გაურკვეველობა ან რუსული სამხედრო ნაწილების არსებობა თემის წინაშე არსებულ მწვავე პრობლემათა შორის არ დაასახელა.

სარწყავი წყლის ხელმისაწვდომობა კრიტიკულ საჭიროებად 2010 წელს იქცა, რაც ზაფხულის გვალვამ განაპირობა, რომელმაც ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მდებარე თემები მნიშვნელოვნად დააზარალა. თემები მოლაპარაკებების ნელი ტემპისა და სამხრეთ ოსეთიდან წყლის მიწოდების თაობაზე შეთანხმების ვერმიღწევის გამო სულ უფრო იმედგაცრუებულები არიან: „ხელისუფლებამ ეს საკითხი მეორე მხარესთან მოლაპარაკებისას უნდა წამოჭრას და იქნებ მერე მაინც ეშველოს რამე“⁹.

ფლავისმან-ბერშუეთის და ნიქოზ-მერეთის მოსახლეობა ფიქრობს, რომ მათი თემების მდგომარეობა უარესდება და ეს ფულის შოვნის შემცირებულ შესაძლებლობებს უკავშირდება

მათი თემების უმწვავეს საჭიროებათა დასახელების პარალელურად, რესპონდენტებს წინა ექვს თვესთან შედარებით თემის ზოგადი მდგომარეობაც უნდა შეეფასებინათ – იგივე დარჩა, გაუარესდა თუ გაუმჯობესდა. წითელუბან-ლამისყანის ყველა რესპონდენტი (100%) და თითქმის ყველა გამოკითხულმა ატოც-დირბიდან (92%) აღნიშნა, რომ მდგომარეობა მათ თემში არ შეცვლილა. ფლავისმან-ბერშუეთის კონტექსტი შემფოთების საფუძველს იძლევა: ნეგატიური ტენდენცია ჯერ კიდევ 2010 წლის ივლისში შეინიშნებოდა და წლის ბოლოს კიდევ უფრო გამძაფრდა – ამ თემებში გამოკითხულთა 52%-მა განაცხადა, რომ მდგომარეობა მათ თემში გაუარესდა. იგივე მაჩვენებელია 2010 წლის ივლისში 36% შეადგენდა. ნიქოზ-მერეთის რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილმა განაცხადა, რომ მდგომარეობა გაუარესდა, მაგრამ ამ ჯგუფში აზრის ყველაზე მძაფრი ცვლილება შეინიშნება – რესპონდენტების მეოთხედზე მეტმა (26%) თქვა, რომ მდგომარეობა მათ თემში გაუარესდა – იგივე მაჩვენებელი 2010 წლის ივლისში 9% იყო. შემამფოთებელია, რომ მდგომარეობის გაუმჯობესება, 2010 წლის ივლისის 53%-თან შედარებით, ამ ჯგუფში გამოკითხულთა მხოლოდ 15%-მა დააფიქსირა.

მდგომარეობის გაუარესების მთავარ მიზეზად ფულის შოვნის შეზღუდული შესაძლებლობები სახელდება – მას იმ რესპონდენტთა 82% ასახელებს, ვინც თვლის, რომ მდგომარეობა გაუარესდა. მეორე მთავარ მიზეზად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების შეზღუდული შესაძლებლობები სახელდება (55%). ამას მოსდევს შემოსულების შემცირებასთან დაკავშირებული პრობლემები (42%) და სარწყავი წყლის ნაკლებობა (39%)¹⁰. მართლაც, ფულის შოვნის შეზღუდული შესაძლებლობები მესამე უმწვავეს საჭიროებად სახელდება და, 2010 წლის ივლისთან შედარებით, უფრო პრიორიტეტულია – წინამდებარე გამოკითხვაში ეს 36%-მა რესპონდენტმა დაასახელა; იგივე მაჩვენებელი 2010 წლის ივლისში 29% იყო. ეს საკითხი ყველაზე მწვავედ ნიქოზ-მერეთში (49%) დგას. მას ფლავისმან-ბერშუეთი (45%) და ატოც-დირბი/წითელუბან-ლამისყანა (ორივე 26%) მოსდევს. ამ საკითხის მზარდი მნიშვნელობა უსაფრთხოების დასტაბილურებით აიხსნება: თემებს ახლა აქცენტი სხვა საჭიროებებზე გადააქვს, ნაწილობრივ, რეგიონში გარე დახმარების შემცირების და, ნაწილობრივ, სამხრეთ ოსეთის ბაზრების მიუწვდომლობის გამო.

9 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, მამაკაცი, 60 წლის, დაქორწინებული, უმუშევარი, ნიქოზ-მერეთი.

10 რესპონდენტებს ერთ მიზეზზე მეტის დასახელება შეეძლოთ.

თემების უმრავლესობას ბაზრების ხელმიწვდომლობა აღარ აწუხებს. გამონაკლისია ფლავისმან-ბერშუეთი, სადაც ვაჭრობაზე რუსი სამხედროების ყოფნა ახდენს გავლენას.

წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი აღმოჩენა, 2010 წლის ივლისთან შედარებით, არის ის, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ბაზრის ხელმიწვდომლობას მათი თემის წინაშე არსებულ მწვავე პრობლემად ნაკლებად მიიჩნევენ. პრიორიტეტების სიაში ამ საკითხმა მე-3-იდან მე-15 ადგილზე გადმოინაცვლა და ის რესპონდენტების მხოლოდ 8%-მა დაასახელა. შედარებისთვის, იგივე მაჩვენებელი 2010 წლის ივლისში 34% იყო. მაშინ, როცა სამხრეთ ოსეთის ბაზრების ხელმისაწვდომობა კვლავ შეზღუდულია, ეს ცვლილება შეიძლება იმით აიხსნას, რომ კვლევის ჩატარების დრო ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მეორე მხარესთან ვაჭრობის წამოსაწყებად თემებს ნაკლები წამახალისებელი საბაბი ჰქონდათ. 2010 წლის ზაფხულის გვალვისა და სარწყავი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული მიმდინარე პრობლემების გამო მოსავალი ცუდი იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხალხს გასაყიდად ნაკლები პროდუქტი ჰქონდა: „არაფრის გაყიდვა არ შეგვიძლია. თუ რამეს ვიღებთ, ჩვენთვის ვიტოვებთ და ზამთარში მავით ვიკვებებით.“¹¹ ამასთან, მოსახლეობამ საქართველოს სხვა რეგიონებში შეძლო საკუთარი პროდუქტების წარმატებით გაყიდვა: „თუ რამეს ვიღებთ, (ახლა) გორში ან საქართველოს სხვა ბაზრებში ვყიდით.“¹²

კონფლიქტის გავლენა ფულის შოვნასა და ბაზრების ხელმისაწვდომობაზე

ფულის შოვნისა და ბაზრების ხელმისაწვდომობის მცირე შესაძლებლობები ასევე კონფლიქტს უკავშირდება, რადგან, ისტორიულად, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები თემები ერთმანეთში ვაჭრობდნენ. ადმინისტრაციული ხაზის გადაკვეთის შეზღუდვამ და გადაკვეთის შემთხვევაში დაკავების საფრთხემ საზღვრის გადაღმა ვაჭრობა მნიშვნელოვნად შეზღუდა – რესპონდენტების 1%-ზე ნაკლები ამბობს, რომ სამხრეთ ოსეთის თემებთან რაიმე სახის ბზნეს-კავშირს ინარჩუნებს. ეს კი ნიშნავს, რომ თემებს ფულის შოვნის შემცირებული შესაძლებლობები აქვთ და პროდუქტის გასაღების მიზნით ახალი ბაზრების მოძიება უწყევთ.

ეს საკითხი ჯერ კიდევ მწვავედ დგას ფლავისმან-ბერშუეთში, სადაც გამოკითხულთა 17%-მა ის სამ მწვავე პრობლემას შორის დაასახელა (შედარებისთვის, იგივე მაჩვენებელი ნიქოზ-მერეთსა და ატოც-დირბში 2%-ია, ხოლო ნითელუბან-ლამისყანაში – 1%). ის ფაქტი, რომ ფლავისმან-ბერშუეთის მოსახლეობა ბაზრების ხელმისაწვდომობას მნიშვნელობას ანიჭებს, ხოლო ნიქოზ-მერეთის მოსახლეობა – არა, მაშინ, როცა ორივე თემმა ფულის შოვნის შემცირებული შესაძლებლობა თემის წინაშე არსებულ მწვავე პრობლემად დაასახელა, შეიძლება ორი ფაქტორით აიხსნას. უპირველეს ყოვლისა, ომის ფსიქოლოგიურ ზეგავლენისა და „ფრონტის ხაზზე“ ცხოვრების შეგრძნების გამო ნიქოზ-მერეთის მოსახლეობას ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მეორე მხარესთან ვაჭრობის შესაძლებლობების გამონახვის ნაკლები სურვილი აქვს. მეორე, საგზაო კავშირი ნიქოზ-მერეთის სოფლებთან უკეთესია, ვიდრე ფლავისმან-ბერშუეთის სოფლებთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელში მცხოვრებ ადამიანებს ალტერნატიული ბაზრების მოძიების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ. ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტიც, რომ ფლავისმან-ბერშუეთის მოსახლეობა რუსი სამხედრო ძალების ყოფნას უფრო მწვავე პრობლემად აღიქვამს, ვიდრე სხვა ჯგუფები (18%, საშუალო მაჩვენებელი – 10%) – მაგალითად, რუსული ძალების ყოფნა ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ ვაჭრობის შესაძლებლობას ამცირებს.

შემის შეგროვებასთან დაკავშირებული პრობლემები და საძოვრების ხელმიწვდომლობა ნითელუბან-ლამისყანას თემებისათვის მთავარ პრობლემად აღიქმება და შეიძლება კიდევ უფრო გააუარესოს მათი საარსებო პირობები

რესპონდენტების 21% შემის შეგროვებასთან დაკავშირებულ დაბრკოლებებს სამ ყველაზე მწვავე პრობლემას შორის ერთ-ერთად თვლის (ზოგადი საჭიროებების სიაში მას მეოთხე ადგილი უჭირავს)¹³, ხოლო 17% ასეთად საძოვრების ხელმიწვდომლობას/მინის დამუშავების შეუძლებლობას ასახელებს (რითიც ის მწვავე საჭიროებების ჩამონათვაში მეექვსე ადგილზეა). ეს საკითხები ნითელუბან-ლამისყანაში სხვა ჯგუფებთან შედარებით უფრო მწვავედ დგას – გამოკითხულთა 79%-მა შემის შეგროვებასთან დაკავშირებულ დაბრკოლებები დაასახელა, ხოლო 65%-მა – საძოვრების ხელმიწვდომლობა. წყალზე ხელმისაწვდომობას რაც შეეხება, საეარაუდოდ, ეს პრობლემა ნითელუბან-ლამისყანაში უფრო პრიორიტე-

11 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, მამაკაცი, ფლავისმან-ბერშუეთი.

12 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, მამაკაცი, 50 წლის, დაქორწინებული, უმუშევარი, ნიქოზ-მერეთი.

13 2010 წლის ივლისის გამოკითხვაში ეს პასუხი შეტანილი არ იყო.

ტულად იმიტომ არის მიჩნეული, რომ ამ ჯგუფის თემებში კონფლიქტის გავლენა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ნაკლებია და არა იმიტომ, რომ ამის საჭიროება ამ ჯგუფში უფრო მეტია, ვიდრე სხვა ჯგუფებში.

კონფლიქტის გავლენა საძოვრებისა და შემის ხელმისაწვდომობაზე

საძოვრები და შემის ტრადიციული წყაროები, უმეტესად, ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს ან უშუალოდ სამხრეთ ოსეთში მდებარეობს. საძოვრების ხელმისაწვდომობამ შეიძლება ოჯახების საარსებო წყაროებზე იქონიოს გავლენა, ხოლო შემის მოპოვების შეუძლებლობა ზამთრის განმავლობაში შეიძლება საკმაოდ საშიშ პრობლემად იქცეს, რადგან ბევრ ოჯახს გაზსა თუ ელექტროდენით გათბობაზე ხელი არ მიუწვდება. მათ, ვინც შემის შეგროვების შეუძლებლობა თემის წინაშე მდგარ მწვავე პრობლემად დაასახელა, უნდა აეხსნათ, თუ რამ შეუშალა ხელი შემის შეგროვებაში. ყველა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ეს რუსული ან ოსური ძალების მიერ „გამყოფი ხაზის უკანონო გადაკვეთისათვის“ დაკავების რისკით (81%), „უკანონო“ ხე-ტყის ჩეხვით (1%-ზე ნაკლებმა) ან სხვა დაუდგენელი მიზეზით (19%) იყო გამოწვეული.

ოფიციალური წყაროების თანახმად, საქართველოს მთავრობამ კონფლიქტის ზონასთან ახლოს მცხოვრებ ყველა ოჯახს ზამთარში ორი კუბური მეტრი შემა დაურთა.¹⁴ მაგრამ ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიებმა გამოავლინა, რომ ამ დახმარებით ყველა თემმა ვერ ისარგებლა და ზოგიერთს შემის მოსაპოვებლად ბალების გაჩეხვა მოუწია: „ყველას ერთი და იგივე პრობლემა გვაქვს – ჩვენს ბალებში ყველა ხე დაჭრეს და შემა დავენით.“¹⁵ მსგავსმა ქმედებებმა შეიძლება მომავალში მოსახლეობის საარსებო პირობებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს, რადგან ბალები ბევრი ოჯახისათვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

შეჯამება და დასკვნები

გაუკაცრიელება ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მიმდინარე პრობლემაა, განსაკუთრებით ატოც-დირბში (თუმცა შემცირებული მასშტაბით). მას, ძირითადად, ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები განაპირობებს. ამასთანავე, 2011 წელს რეგიონში გარე დახმარების მიწოდების შემცირების ფონზე, სიღარიბე შეიძლება გაუკაცრიელების უფრო მნიშვნელოვანი გამომწვევი მიზეზად იქცეს. თემებს, 2010 წლის ივლისთან შედარებით, ფიზიკური უსაფრთხოების საკითხები უფრო ნაკლებად აწუხებთ, რაც ინციდენტების შემცირებით აიხსნება. ამავდროულად, ადამიანები საკუთარი თემების მდგრადობაზე უფრო მეტად წუხან, რასაც გარე დახმარების შემცირება და ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან დაკავშირებული გაურკვევლობა და, შესაბამისად, „თამაშის წესების“ არცოდნა განაპირობებს. ამასთან, თემის მნიშვნელოვანი საჭიროებებზე გავლენას ახდენს სეზონური ფაქტორები, როგორცაა ზამთარში შეშაზე და ზაფხულში წყალზე ხელმისაწვდომობა. მართლაც, წყალზე ხელიწვდომლობა განსაკუთრებით გამწვავდა 2010 წელს გვალვის გამო. თემების ყველაზე მწვავე საჭიროებებზე გამოვლინდა: ა) კონფლიქტის ზონასთან სიახლოვე და მასთან დაკავშირებული ფიზიკური საფრთხეები – განსაკუთრებით, ატოც-დირბში, რასაც ადმინისტრაციული გამყოფი ხაზისათვის ბრძოლის გამო ძალადობის ესკალაციის პოტენციალი განაპირობებს; ბ) სარწყავი წყალზე ცუდი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით ნითელუბან-ლამისყანაში; გ) ფულის შოვნის ნაკლები შესაძლებლობები, განსაკუთრებით, ფლავისმან-ბერშუეთსა და ნიქოზ-მერეთში, სადაც მიაჩნიათ, რომ ზოგადი მდგომარეობა მათ თემში გაუარესდა; დ) საძოვრების და შეშაზე ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით, ნითელუბან-ლამისყანაში.

ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მცხოვრები თემების სპეციფიკის გათვალისწინებით „თემის მდგრადობის“ სტრატეგიის შემუშავება პრიორიტეტული უნდა გახდეს. სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს და დაგეგმოს იმ საფრთხეების თავიდან აცილების გზები, რომლებიც გაუკაცრიელებას იწვევენ, განსაკუთრებით ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეები ატოც-დირბში. გეგმაში ასევე მოცემული უნდა იყოს თემებისათვის სოფლის მეურნეობის წარმოების და გაჭრობის – მათ შორის, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ გაჭრობის – გაზრდის შესაძლებლობები და გათვალისწინებული უნდა იყოს ის სეზონური საკითხები, რომლებიც თემებზე ახდენენ გავლენას – მაგალითად, წყალზე ზაფხულში და შეშაზე ზამთარში ხელმისაწვდომობა.

14 გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, 2010 წლის 29 დეკემბრის ახალი ამბები http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=40&info_id=1247

15 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, მამაკაცი, 30 წლის, დაქორწინებული, უმუშევარი, ატოც-დირბი

3

პირადი უსაფრთხოება და უსაფრთხოების დამცველთა როლი

წინა თავში გაანალიზირებული იყო თემების მიერ ზოგადი მდგომარეობის აღქმა. ამ თავში აღწერილია ფიზიკური დაუცველობის მაგალითების სიხშირე, დაუცველობის აღქმის დონე და გამომწვევი მიზეზები და თუ როგორ ასრულებენ საკუთარ მისიას უსაფრთხოების დამცველები. ქვემოთ მოცემული მაგალითები საერთაშორისო ორგანიზაციებს და, განსაკუთრებით, ადგილობრივ უწყებებს უსაფრთხოების გამომწვევებზე საპასუხო ზომების მომზადებასა და ეროვნული უსაფრთხოებისა და ადგილობრივი თემების პრიორიტეტების დაბალანსებაში დაეხმარება.

**რომელი ფიზიკური
საფრთხე ახდენს
გავლენას
თემებზე?**

2010 წლის ივლისის შემდეგ ინციდენტების სიხშირე შემცირდა, თუმცა სროლები კვლავ ხშირად მიმდინარეობს – განსაკუთრებით, ატოც-დირბსა და ნიქოზ-მერეთში.

რესპონდენტებს 2010 წლის ივლის-დეკემბრის პერიოდში მათ თემში მომხდარი ფიზიკური უსაფრთხოებისათვის საშიში რიგი ინციდენტების – ქურდობიდან დაწყებული ეთნიკურ ნიადაგზე ძალადობით დამთავრებული – სიხშირე უნდა შეეფასებინათ. წინა კვლევის შემდეგ, ყველა სახის ინციდენტის სიხშირე შემცირდა. ერთადერთი გამონაკლისი სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და პირუტყვის ქურდობაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ზოგადად, უსაფრთხოების დონე დასტაბილურდა (გრაფიკი 4). მაგალითად, 2010 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში თემების მოსახლეობის 51% სროლების მომსწრე თვეში რამდენჯერმე ხდებოდა; იგივე მაჩვენებელი 2010 წლის ივლისი-დეკემბრის პერიოდში 38%-ია: „ექვსი თვის წინ ოსებს სიმაღლეები ჰქონდათ დაკავებული და სროლები ყოველდღე ხდებოდა. ახლა რუსებმა ისინი გამოდევნეს და სროლები აღარ მიმდინარეობს.“¹⁶

2010 წლის ივლისის მსგავსად, სროლები ფიზიკური უსაფრთხოებისათვის საშიშ ყველაზე ხშირ ინციდენტად რჩება და განსაკუთრებით ხშირია ატოც-დირბსა და ნიქოზ-მერეთში, სადაც, შესაბამისად, გამოკითხულთა 71% და 58% სროლების მომსწრე თვეში ერთხელ ან რამდენჯერმე ხდება (იგივე მაჩვენებელი ფლავისმანბერშუეთში 31%-ია, ხოლო ნითელუბან-ლამისყანაში – 0%).

გრაფიკი 4: უსაფრთხოებისათვის საშიში ინციდენტების სიხშირე¹⁷
 2010 წლის ივლისის შემდეგ, რამდენ ხშირად მომხდარა შემდეგი თქვენს თემში/სოფელში?

		ეს კვლევა	წინა კვლევა (ივლისი, 2010)
... თვეში რამდენჯერმე	სროლები	38%	51%
	არეულობა სიმთვრალის ნიადაგზე	0%	7%
... თვეში ერთხელ	სროლები	5%	0%
	სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების/ პირუტყვის ქურდობა	2%	0%
	არეულობა სიმთვრალის ნიადაგზე	1%	11%
	კონფლიქტი მეზობლებს შორის	0%	14%
	გატაცება/დაკავება	0%	0%
... სულ მცირე, ერთხელ მაინც გასული 6 თვის განმავლობაში (ეს კვლევა)	სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის/ საქონლის ქურდობა	16%	18% / 17%
	არეულობა სიმთვრალის ნიადაგზე	8%	9% / 0%
... სულ მცირე წელიწადში ერთხელ/ სულ მცირე ერთხელ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ (წინა კვლევა)	მოტაცება/დაკავება	8%	7% / 12%
	სროლები	5%	0% / 0%
	კონფლიქტი მეზობლებს შორის	4%	9% / 0%
	სხვა სახის ქურდობა	3%	8% / 7%
	ნაღმის აფეთქებით გამოწვეული დაზიანება	0%	0% / 18%

სროლის ინციდენტების ხასიათი და გავლენა

იმ რესპონდენტებს, ვინც ამბობს, რომ სროლები მათ თემებზე ახდენს გავლენას, უნდა აღენიშნათ ეს სროლები ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის რომელ მხარეს ხდება, გამიზნულია თუ ჰაერში ისვრიან, რა სახის იარაღიდან ისვრიან და სროლების შედეგი. გამოკითხულები ფიქრობენ, რომ ყველა გასროლა ადმინისტრაციული ხაზის მეორე მხრიდან ხდება (96%, 4%-მა თქვა, რომ არ იცის) და არაფერზე/არავისზე არ არის დამიზნებული (86% ამბობს, რომ ჰაერში ისვრიან, 1% ამბობს, რომ კონკრეტულ მიზანს ესვრიან და 13% ამბობს, რომ არ იცის). იმათი 50%, ვინც სროლები გაიგონა, ფიქრობს, რომ გასროლა ავტომატური იარაღიდან მოხდა, 15% – ხელყუმბარიდან და 7% – არტილერიიდან. დანარჩენები ამბობენ, რომ არ იციან. რესპონდენტების აზრით, სროლების ერთადერთი შედეგი მოსახლეობის დაზიანებაა (92%, 8% ამბობს, რომ არ იცის) და არა სიკვდილი, დაჭრა ან დაზიანება.

დაკავებათა უმრავლესობა ატოც-დირბში ხდება. უმეტესობას რუსი სამხედროები აკავებენ და თანხის გადახდის შემდეგ ათავისუფლებენ.

ატოც-დირბის ჯგუფი ყველაზე მეტად დაზარალდა დაკავებებით; ამ ჯგუფის რესპონდენტების თითქმის მეოთხედი (24%) ამბობს, რომ მსგავსი ინციდენტი მათ თემში მომხდარა. მეორე ადგილზე ფლავისმან-ბერშუეთია (5%). ნიქოზ-მერეთისა და წითელუბან-ლამისყანის რესპონდენტებს მსგავსი ინციდენტები არ აღუნიშნავთ. მათ, ვინც თქვა, რომ დაკავების ინციდენტები მათ თემში ხდება, ამ ინციდენტების ხასიათი უნდა აღენერათ, მათ შორის – ვინ იყო დამნაშავე და რა ბედი ეწია დაკავებულებს. გამოკითხულთა თანახმად, დაკავებების 65% რუსმა სამხედროებმა განახორციელეს, 19% – კრიმინალურმა დაჯგუფებებმა და 10% – ოსურმა სამხედრო ძალებმა. დაკავებულთა თითქმის ნახევარი (47%) თანხის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს, მაგრამ ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს (გრაფიკი 5 – დანარჩენმა გამოკითხულებმა განაცხადეს, რომ არ იციან).

17 რესპონდენტების 1%-ზე ნაკლებმა აღნიშნა, რომ მათ თემში თავდასხმა ან ოჯახური ძალადობა მომხდარა. ყაჩაღობა, გამოძალვა, მკვლელობა, გაუპატიურება/სექსუალური შეურაცხყოფა, შანტაჟი, ნაღმის აფეთქებით გამოწვეული დაზიანებები, ქონების განადგურება და ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი ძალადობა არავის აღუნიშნავს.

გრაფიკი 5: როგორ მთავრდება დაკავებების ინციდენტები?
რა მოხდა დაკავების შემდეგ?

	გათავისუფლებისათვის გადაინადეს თანხა	გათავისუფლებისათვის თანხა არ გადაუხდიათ
აღენიშნება ფიზიკური დაზიანება	47%	20%
ფიზიკური დაზიანება არ აღენიშნება	16%	8%

სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და პირუტყვის ქურდობა განსაკუთრებულ პრობლემას ნიქოზ-მერეთში წარმოადგენს და იქ მცხოვრები მოსახლეობის თითქმის ნახევარზე ახდენს გავლენას. ამავდროულად, ნაღმების აფეთქება პრობლემას აღარ წარმოადგენს.

მართალია, 2010 წლის ივლისის შემდეგ ინციდენტების სიხშირე შემცირდა, მაგრამ ამავდროულად ვერ ვიტყვიტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და საქონლის ქურდობაზე. ეს იმიტომ, რომ წინამდებარე კვლევა იყენებს კატეგორიას – „სულ მცირე ერთხელ გასული ექვსი თვის განმავლობაში“ (ეს პასუხი რესპონდენტების 16%-მა აირჩია), და არა კატეგორიას – „სულ მცირე, ერთხელ გასული ერთი წლის განმავლობაში“ (18%) ან „სულ მცირე, ერთხელ მაინც“ (17%), რომელიც წინა კვლევაში გამოიყენებოდა და უფრო ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. ამის მიუხედავად, ის ფაქტი, რომ მოსახლეობის 16% 2010 წლის ივლისის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და საქონლის ქურდობით დაზარალდა, შემფოთებისთვის საკმაო საფუძველს იძლევა. ყველაზე მეტად ეს პრობლემა თავს ნიქოზ-მერეთში იჩენს – იქ არსებული თემების მოსახლეობის თითქმის ნახევარი 2010 წლის ივლისის შემდეგ ასეთი ინციდენტის მომსწრე ყოფილა.


დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის ივლის-დეკემბრის პერიოდში ნაღმის აფეთქების გამო მიღებული დაზიანებების შესახებ არც ერთ რესპონდენტს არ აღუნიშნავს. 2010 წლის ივლისის კვლევის დროს გამოკითხულთა 18% ამბობდა, რომ მსგავსი ინციდენტები 2008 წლის აგვისტოს შემდეგ „სულ მცირე, ერთხელ“ მაინც მომხდარა. ეს შეიძლება აგვისტოს ომის შემდეგ განაღმებითი სამუშაოების წარმატებით აიხსნას. თუმცა, ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ თემები იმ ტერიტორიებზე გავლისა და მუშაობისაგან თავს იკავებენ, რომლებიც შეიძლება ჯერ კიდევ დანაღმული იყოს.

რამდენად უსაფრთხოდ მიიჩნევენ მოსახლეობა საკუთარ თავს და რა ახდენს გავლენას უსაფრთხოების აღქმაზე?

ინციდენტების შემცირების მიუხედავად, ზოგადად, ადამიანები 2010 წლის ივლისთან შედარებით ნაკლებად უსაფრთხოდ გრძნობს თავს, რასაც სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზრის „პატრულირებისა“ და „დაცვის“ ღონისძიებები განაპირობებს.

2010 წლის ივლისის მსგავსად, ოდნავ მეტი ადამიანი გრძნობს თავს უსაფრთხოდ. 2010 წლის ივლის-დეკემბრის პერიოდში პირადი უსაფრთხოების შეგრძნების ცვლილებების შეფასებისას, გამოკითხულთა 14% ამბობს, რომ მათი პირადი უსაფრთხოება გაუარესდა, 4% ამბობს, რომ გაუმჯობესდა, ხოლო 82%-ისთვის არაფერი შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ თემის უსაფრთხოების გაუარესების დონესთან შედარებით, ეს მაჩვენებელი პოზიტიურია (თემის დონეზე უსაფრთხოების გაუარესებაზე რესპონდენტების 28% საუბრობს), ეს იმას ნიშნავს, რომ პირადი უსაფრთხოების კონტექსტი გარკვეულწილად გაუარესდა.

**გრაფიკი 6: ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მცხოვრები ადამიანების ყველაზე მნიშვნელოვანი პირადი საფრთხეები¹⁸
რა წარმოადგენს საფრთხეს პირადად თქვენთვის?**



2010 წლის ივლისის მსგავსად, ფიზიკური უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები ინდივიდისათვის უფრო მეტ საფრთხედ აღიქმება, ვიდრე თემისათვის. მაგალითად, ძალადობის ესკალაციის საფრთხე მესამე ყველაზე მნიშვნელოვანი პირად საფრთხედ აღიქმება, თუმცა თემის წინაშე არსებული მწვავე პრობლემების ჩამონათვალში ის მე-14 ადგილს იკავებს. მიუხედავად ამისა, 2010 ივლისთან შედარებით, ფიზიკური საფრთხეების პრიორიტეტებად დალაგებისას გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. სროლებით გამოწვეული საფრთხეები შემცირდა და, 2010 წლის ივლისთან შედარებით, ყველაზე მთავარი პირადი საფრთხეების სიაში მე-6-დან მე-11 ადგილზე გადმოინაცვლა. ამავდროულად, რუსი სამხედროების ყოფნით განპირობებული საფრთხეები და ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან დაკავშირებული გაურკვეველობა უფრო დიდ საფრთხეებად აღიქმება – პირველის შემთხვევაში, საფრთხემ მე-8-დან მე-5 ადგილზე გადმოინა, ხოლო მეორე შემთხვევაში – წინა კვლევის დროს პასუხებს შორის არ დასახელებულა ახლა მე-7 ადგილზე. სროლების მნიშვნელობის დაწევა წინა კვლევასთან შედარებით მათი სიხშირის შემცირებით შეიძლება აიხსნას. რუსი სამხედროების ყოფნისა და ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან დაკავშირებული გაურკვეველობის მნიშვნელობის ზრდას კი დაუდგენელი გამყოფი ხაზის „პატრულირებისა“ და „დაცვის“ მცდელობები განპირობებს, რაც სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს იმ თემებზე, რომელთათვის საარსებო წყაროების მოპოვება ამ „რუს ზონაში“ მოძრაობასა და მუშაობასთანაა დაკავშირებული (მაგალითად, ზამთარში შემის შეგროვება).

ატოც-დირბის მოსახლეობა ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის კონტროლის მიზნით ძალადობის განახლების გამო თავს ნაკლებად დაცულად გრძნობს. მსგავსი ძალადობის რისკს ამ რეგიონში სროლებისა და დაკავებების მაღალი სიხშირე ამყარებს.

სუბიექტური აღქმით, ატოც-დირბი ყველაზე დაუცველი რეგიონია – გამოკითხულთა 43% ამბობს, რომ თავს საკმაოდ დაუცველად ან ძალიან დაუცველად გრძნობს და 9% კი – საკმაოდ ან ძალიან დაცულად. ფლავისმან-ბერეშეთში მოსახრებები ტოლად იყოფა – 27% თავს დაუცველად გრძნობს, ხოლო 27% – დაცულად. მთლიანობაში, ნიქოზ-მერეთში უფრო მეტი ადამიანი თვლის თავს დაცულად ვიდრე დაუცველად. ნითელუბან-ლამისყანაში დიდი უმრავლესობა თავს დაცულად გრძნობს. ატოც-დირბის მოსახლეობა ასევე თვლის, რომ 2010 წლის ივლისის შემდეგ ზოგადი მდგომარეობაც გაუარესდა – მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მხოლოდ 1% საუბრობს, ხოლო 18% ამბობს, რომ თავს ნაკლებად დაცულად თვლის (თუმცა არავის უთქვამს, რომ თავს გაცილებით ნაკლებად დაცულად გრძნობს). ეს 2010 წლის ივლისის კვლევის დროს ამ რეგიონში გამოვლენილი უარყოფითი ტენდენციის გაგრძელებაა. მაშინ 2010 წლის იანვრიდან მოყოლებული მდგომარეობის გაუარესებაზე 14% საუბრობდა.

¹⁸ კითხვა ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხის ირგვლივ იყო დასმული. ის პასუხები, რომლებიც რესპონდენტების 10%-ზე ნაკლებმა დაასახელა სამ ყველაზე მთავარ საფრთხეს შორის, საბოლოო პასუხებში არ მოხვდა. სხვა პასუხებს შორის, რესპონდენტებს პირად საფრთხეებად არ დაუსახელებიათ: აუფეთქებელი ნაღმები, უკანონო შეიარაღებული ჯგუფები, ზოგადი კრიმინალი ან ადამიანების მოტაცება.

ერთი შეხედვით გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ატოც-დირბის მოსახლეობა თავს უფრო დაუცველად გრძნობს, ვიდრე დაცულად, მაშინ, როცა ყველა ტიპის ინციდენტების სიხშირე შემცირდა. ეს შეიძლება ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე კონკურენტით აიხსნას, ნაწილობრივ, ამ ჯგუფის გეოგრაფიული მდებარეობით, ნაწილობრივ იმით, რომ, ნიქოზ-მერეთსა და ფლავისმან-ბერშუეთთან შედარებით, ამ ჯგუფს უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა. გამყოფი ხაზის კონტროლისათვის გაზრდილი კონკურენტის შესაძლებლობა გამოიხატება ინციდენტების მაღალი სიხშირით (თუმცა უფრო შემცირებული). მაგალითად, ატოც-დირბში გამოკითხულთა 50% ამბობს, რომ სროლები მათ თემებში თვეში რამდენჯერმე ისმის და 24% კი რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ მათი თემების ნევრთა დაკავების შესახებ იტყობინება. მართლაც, დაუცველობის შეგრძნების მაღალი დონე და მიმდინარე უსაფრთხოების ინციდენტები მიუთითებენ, რომ ატოც-დირბი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს როგორც 'ცხელი ნერტილი'.

დაუცველობის შეგრძნება ასევე შეიძლება იმით აიხსნას, რომ იქაურებს არ სჯერათ, რომ ინციდენტების სიხშირის შემცირება ხანგრძლივადიანია და ფიქრობენ, რომ სროლების შემცირების სახით არსებული გაუმჯობესება ზამთარს იქით არ გასტანს. ხალხი ზამთარში ყანაში არ მუშაობს და არც საქონელს უშვებს საძოვარზე, შესაბამისად, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის სიახლოვეს ნაკლებ საფრთხეს აწყდება: „დიახ, მოტაცებებმა იკლო. მაგრამ ეს იმიტომ, რომ ხალხი მინის ნაკვეთებში აღარ გადის. ახლა ზამთარია და ყანაში არ მუშაობენ. მინდორში საქონელს არ უშვებენ. გაზაფხულსა და ზაფხულში რა მოხდება, არ ვიცი.“¹⁹

ფლავისმან-ბერშუეთის მოსახლეობა თავს ნაკლებად დაცულად ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო გრძნობს, ხოლო წითელუბან-ლამისყანის მოსახლეობა – გვალვისა და შემის შეგროვებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

გამოკითხულები ფლავისმან-ბერშუეთიდან თვლიან, რომ უსაფრთხოების გარემო უარესდება. 3% ამბობს, რომ ისინი 2010 წლის ივლისთან შედარებით თავს ნაკლებად დაცულად გრძნობს, 16% ამბობს, რომ თავს გაცილებით ნაკლებად დაცულად გრძნობს. გაუმჯობესებაზე მხოლოდ 8% საუბრობს. 2010 წლის ივლისის კვლევასთან შედარებით ეს საკმაოდ ცუდი მაჩვენებელია – მაშინ აზრი თანაბრად გაიყო – 2010 წლის იანვართან შედარებით თავს უფრო დაცულად 8%, ხოლო ნაკლებად დაცულად 8% თვლიდა. ეს ნეგატიური ტენდენცია რეგიონში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით შეიძლება აიხსნას, რომელსაც, თავის მხრივ, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ ვაჭრობის შეზღუდული შესაძლებლობა იწვევს – ამ რეგიონში გამოკითხულთა 41% სამ ყველაზე მნიშვნელოვან პირად საფრთხეს შორის ფულის შოვნის შემცირებულ შესაძლებლობას ასახელებს (საშუალო მაჩვენებელი 27%-ია), ხოლო 18% იმავეს ამბობს ბაზრების ხელმისაწვდომობის შეზღუდვაზე (საშუალო მაჩვენებელი 8%-ია). როგორც უკვე აღინიშნა, ამ რეგიონის მოსახლეობა რუსი სამხედროების ყოფნას საფრთხედ უფრო მეტად აღიქვამს, ვიდრე სხვა თემების მცხოვრებნი.

გასაკვირია, რომ რესპონდენტები წითელუბან-ლამისყანის ჯგუფიდან ასევე ნაკლებად დაუცველად გრძნობენ თავს. ეს უცნაურია იმიტომ, რომ 2010 წლის ივლისის კვლევის დროს გამოკითხულთა 69% თავს ისევე დაცულად გრძნობდა, როგორც 2010 წლის იანვარში, ხოლო დანარჩენი (31%) – კიდევ უფრო მეტად დაცულად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ჯგუფში, ერთი შეხედვით, სერიოზული ინციდენტები არ ხდება. უსაფრთხოების შემცირებული განცდა, სავარაუდოდ, 2010 წლის ზაფხულის გვალვას და გასათბობად შემის შეგროვებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს უკავშირდება და იმის შეგრძნებას, რომ ეს საკითხები მომავალშიც არ მონესრიგდება.

ნიქოზ-მერეთში უსაფრთხოების განმტკიცება, როგორც ეს 2010 წლის ივლისის კვლევაში აღინიშნა, გრძელდება, რადგან ინციდენტების რაოდენობამ იკლო და ხალხი „ფრონტის ხაზზე“ ცხოვრებას მიეჩნია.

2010 წლის ივლისის კვლევაში, ნიქოზ-მერეთის რესპონდენტთა 40% ამბობდა, რომ 2010 წლის დასაწყისიდან მათი ინდივიდუალური დაცულობის შეგრძნება გაიზარდა. იმავე პერიოდში გაურესებაზე მხოლოდ 16%-მა ისაუბრა. ეს ტენდენცია გრძელდება – 92% ამბობს, რომ მათი დაცულობის შეგრძნება 2010 წლის დეკემბერში ისეთივეა, როგორც 2010 წლის ივლისის დროს, 3% ამბობს, რომ გაუმჯობესდა, ხოლო 4% – რომ გაუარესდა.

ნიქოზ-მერეთში ფოკუს-ჯგუფში ჩატარებულმა დისკუსიამ ეს პოზიტიური აღმოჩენა დაადასტურა. მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ადრე თავს ნაკლებად დაცულად გრძნობდნენ, უფრო მეტი ინციდენტის მომსწრენი იყვნენ და ეგონათ, რომ პოლი-

ციაც ნაკლებად უჭერდა მათ მხარს. გარდა ამისა, ისინი ფიქრობენ, რომ დაცულობის გაზრდილი განცდა „ფრონტის ხაზზე“ ცხოვრებასთან დაკავშირებულ რეალობასთან შეგუებას უკავშირდება: „ხალხი ასეთ ცხოვრებას მიეჩნია. ექვსი თვის წინ უფრო გვეშინოდა, მაგრამ მაინც სოფელში დავრჩით. ახლაც იგივე სოფელში ვარ და შიშის განცდას უკვე მიეჩნევი. თუ კაცს ციხეში ჩასვამთ, ყველაზე მეტად პირველ თვეს დაიტანჯება: მერე მიეჩნევა.“²⁰ მართლაც, მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ისიც, რომ ამ ჯგუფში მოსახლეობას, 2010 წლის ივლისთან შედარებით, რუსი სამხედროების ყოფნა გაცილებით ნაკლებად აწუხებს – 2010 წლის ივლისის კვლევის დროს რუსი სამხედროების ყოფნას სამი ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხიდან ერთ-ერთად გამოკითხულთა 41% აფასებდა. იგივე მაჩვენებელი ახლა 8%-ია: „ადრე, ტანკის ხმას გავიგონებდით თუ არა, გავბრბოდით და ვიმალებოდით. ახლა ახლოს მივდივართ და ვუყურებთ.“²¹


ვინ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და როგორი დამოკიდებულება აქვთ თემებს უსაფრთხოების დამცველებთან?

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება უზრუნველყოფს უსაფრთხოებას კონფლიქტის პოლიტიკური მართვის გზით, ხოლო საქართველოს პოლიცია ადგილზე უსაფრთხოების მთავარი დამცველია.

2010 წლის ივლისის მსგავსად, როცა საქმე თემების მოსახლეობის დაცვას ეხება, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება „უსაფრთხოების მთავარ დამცველად“ ითვლება: გამოკითხულთა 44% მას უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვან დამცველად თვლის (გრაფიკი 7). თუმცა, ყველაზე არსებითი დამცველი ქართული პოლიციაა – გამოკითხულთა 31% მას უსაფრთხოების წამყვან დამცველად მიიჩნევს, 29% მას მეორე ადგილზე აყენებს, ხოლო 29% – მესამეზე. უსაფრთხოების სხვა დამცველებად მიჩნეულები არიან: ქართული ჯარი, ადგილობრივი ხელისუფლება და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია. 2010 წლის ივლისის კვლევის მსგავსად, არასახელმწიფო აქტორები, როგორცაა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები, ეკლესია, ნათესავები და მეგობრები, რესპონდენტების აზრით, უსაფრთხოების უზრუნველყოფაში არანაირ როლს არ თამაშობენ. უსაფრთხოების დამცველთა რიგში რუსი სამხედროები ან მესაზღვრეები არავის დაუსახელებია.

გრაფიკი 7: უსაფრთხოების მთავარი დამცველების აღქმა

ვის ევალება თქვენი უსაფრთხოების დაცვა – ვინ არის თქვენი „მთავარი დამცველი“?



როგორც 2010 წლის ივლისის ანგარიშში აღინიშნა, თემებისათვის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პირველობა მიუთითებს იმაზე, რომ კონფლიქტი და მასთან ასოცირებული უსაფრთხოების საკითხები საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ პოლიტიკურ პრობლემებზე უფრო აღიქმება, ვიდრე ადგილობრივ დინამიკად: „(კონფლიქტის ბედი) მთავრობის ხელშია, არამარტო ჩვენი მთავრობის, მაგრამ ასევე რუსეთის მთავრობის. ოსებს არავინ არაფერს ეკითხება.“²²

უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვან დამცველად პოლიციის აღქმა მიუთითებს იმაზე, რომ ადგილობრივ დონეზე უსაფრთხოებას, რეალურად, პოლიცია უზრუნველყოფს. მისი მოვალეობაა როგორც ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის კონტროლი, ასევე ადგილობრივი თემების უსაფრთხოების დაცვა.

20 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, მამაკაცი, 50 წლის, დაქორწინებული, უმუშევარი, ნიქოზ-მერეთი.

21 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, მამაკაცი, 60 წლის, დაქორწინებული, უმუშევარი ნიქოზ-მერეთი.


22 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, მამაკაცი, წითელუბან-ლამისყანა.

მოსახლეობა ყველაზე მეტად პოლიციით არის კმაყოფილი და საჭიროების შემთხვევაში ყველაზე მეტად მას მიმართავს – ატოც-დირბის გამოკლებით, სადაც მოსახლეობა ამჯობინებს ცენტრალურ ხელისუფლებას მიმართოს.

რესპონდენტები მათ თემში უსაფრთხოების დაცვისათვის ყველაზე მეტად პოლიციას ემადლიერებიან. 72% ამბობს, რომ პოლიცია „ძალიან ეფექტიანია“ ან „საკმაოდ ეფექტიანია“ (გრაფიკი 8). უსაფრთხოების მეორე ყველაზე ეფექტურ დამცველად საქართველოს ჯარია მიჩნეული (61% ჯარს ძალიან ან საკმაოდ ეფექტურად მიიჩნევს). მას მოსდევს: ცენტრალური ხელისუფლება (39%), ადგილობრივი ხელისუფლება (31%) და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (29%). ეფექტიანობის აღქმის ეს თანმიმდევრობა 2010 წლის ივლისის გამოკითხვაში დაფიქსირებულ თანმიმდევრობას ემთხვევა.

გრაფიკი 8: უსაფრთხოების დამცველთა ეფექტიანობა ადგილობრივ პრობლემებთან გამკლავების თვალსაზრისით

ვინ არის პასუხისმგებელი თქვენს თემში თქვენს დაცვაზე – ვინ არის თქვენი „მთავარი უსაფრთხოების დამცველი“?



თითქმის ყველა გამოკითხული, საჭიროების შემთხვევაში, პოლიციას მიმართავდა (87%). მას ცენტრალური ხელისუფლება (36%), სასამართლო (13%), ქართული ჯარი (10%), ნათესავები და მეგობრები (8%) და საერთაშორისო ორგანიზაციები, (გარდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა), მოსდევს (8%). მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხულთა ძალიან მცირე რაოდენობა მიმართავდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას (4%), ჟურნალისტებს (2%), არასამთავრობო ორგანიზაციებს ან რელიგიურ ჯგუფებს (სამივე ჯამში 1%-ზე ნაკლებია). ატოც-დირბის მოსახლეობა გამოირჩევა იმით, რომ უფრო მეტად მიმართავდა ცენტრალურ ხელისუფლებას, ვიდრე პოლიციას (შესაბამისად, 81% და 71%). შეიძლება, ეს მაჩვენებლები რეგიონის უფრო მყიდვე მდგომარეობით აიხსნება, მაგრამ შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

უსაფრთხოების აქტორთა ეფექტიანობა მოსახლეობის თვალში 2010 წლის ივლისის კვლევის შემდეგ შემცირებულია, რასაც მათ მიმართ მზარდი იმედგაცრუება განაპირობებს.

ყველა აქტორის ეფექტიანობის რეიტინგი შემცირდა. მაგალითად, 2010 წლის ივლისში, რესპონდენტების 80% პოლიციას საკმაოდ ან ძალიან ეფექტიანად აფასებდა (წინამდებარე კვლევაში იგივე მაჩვენებელი 72%-ია). ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია წინა კვლევისას საკმაოდ/ძალიან ეფექტიანად გამოკითხულთა 41%-მა შეაფასა (ამჟამად – 29%-მა). მნიშვნელოვანია, რომ არასახელმწიფო აქტორების შეფასება დაახლოებით სამნახევარჯერ გაუარესდა. 2010 წლის ივლისში გამოკითხულთა 30%-მა მეგობრები/ნათესავები ძალიან ან საკმაოდ ეფექტიანად შეაფასა – წინამდებარე კვლევაში კი მხოლოდ 20%-მა თქვა იგივე. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების ეფექტიანობის შეფასება 30%-იდან 16%-ამდე შემცირდა; საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტიანობის შეფასება (ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გამოკლებით) 22%-იდან 12%-ამდე; ხოლო ეკლესიის/სხვა რელიგიური ორგანიზაციების – 21%-იდან 9%-ამდე.

ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიების მონაწილეებმა ახსნეს, რომ სხვადასხვა აქტორების ეფექტიანობის შეფასების შემცირება რეგიონში მომუშავე გარე აქტორებისადმი მზარდი უნდობლობით აიხსნება. მოსახლეობა თვლის, რომ გარე აქტორებმა და,

განსაკუთრებით, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, თემებისათვის მიცემული პირობები ვერ შეასრულეს და რომ მათ საქმიანობას გამჭვირვალობა აკლია: „დღეს აღარავის აღარ გვჯერა. ისინი მოდიან, კითხვებს გვისვამენ და მერე უჩინარდებიან.“²³ ზოგადად, მიჩნეულია, რომ უშუალოდ ომის შემდგომი პერიოდის შემდეგ, მნიშვნელოვან დახმარებას ადგილი არ ჰქონია: „არსებითი დახმარება უშუალოდ ომის შემდეგ წითელი ჯვრისგან მივიღეთ. ამის შემდეგ რამე მნიშვნელოვანი აღარ მიგვიღია.“²⁴ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხოების დამცველთა ეფექტიანობის შეფასებაზე ეკონომიკური პრობლემების გამძაფრებაც ახდენს გავლენას. ასე მაგალითად, ადამიანებს უჭირთ, განასხვავონ განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციების გავლენა და კონფლიქტის შედეგების შემსუბუქებაზე მომუშავე ორგანიზაციების გავლენისაგან.

შეჯამება და დასკვნები

2010 წლის ივლისის შემდეგ ყველა ტიპის ინციდენტის სიხშირე შემცირდა, განმარტებისა სასოფლო-სამეურნეო საქონლის ქურდობა ნიქოზ-მერეთში. სროლები ყველაზე ხშირი ინციდენტია. ატოც-დირბისა და ნიქოზ-მერეთის თემების უმრავლესობა, სულ მცირე, თვეში ერთხელ სროლების მოწმე ხდება. ზოგადად, დაკავების ფაქტები მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ატოც-დირბის თემების მეოთხედი 2010 წლის ივლისის შემდეგ ერთი დაკავების ინციდენტის მოწმე მაინც გამხდარა. ინციდენტების შემცირების მიუხედავად, ზოგადად, 2010 წლის ივლისთან შედარებით, მოსახლეობა თავს ნაკლებად დაცულად გრძნობს, რასაც გამყოფი დაუდგენელი ხაზის „პატრულირებისა“ და „დაცვის“ მცდელობები განაპირობებს. ეს გულისხმობს: ა) ატოც-დირბში ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე გავლენის მოსაპოვებლად ძალადობის შესაძლო ზრდას, რაც მიმდინარე სროლებითა და დაკავებებით გამოიხატება; ბ) ფლავისმან-ბერშუეთში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას გამყოფი ხაზის გადაღმა ვაჭრობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო; გ) წითელუბან-ლამისყანაში გამყოფი ხაზის გადაღმა მდებარე წყლის სათავესა და შეშაზე ხელმიუწვდომლობის პრობლემებს. ნიქოზ-მერეთი ერთადერთია, სადაც მოსახლეობის მიერ უსაფრთხოების აღქმა სტაბილურია. იქაურები ყველაზე მეტად პოლიციით არიან კმაყოფილი და, საჭიროების შემთხვევაში, მას მიმართავენ. თუმცა, 2010 წლის ივლისის კვლევასთან შედარებით, უსაფრთხოების ყველა დამცველის ეფექტიანობის შეფასება შემცირებულია, რასაც გარე აქტორებისადმი მზარდი იმედგაცრუება განაპირობებს.

სადაც შესაძლებელია, ყველა აქტორმა ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის „პატრულირებისა“ და „დაცვის“ მცდელობა უნდა შეამციროს, რადგან თემებისთვის საარსებო წყაროების მოპოვება ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის „რუხი ზონის“ ფარგლებში მოძრაობასა და მუშაობასთანაა დაკავშირებული. ეს სხვადასხვა თემის სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული განსხვავებული მიდგომების შემუშავებას გულისხმობს: მაგალითად, ზოგიერთ თემში ფიზიკურ უსაფრთხოებას უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს (განსაკუთრებით, ატოც-დირბსა და ნიქოზ-მერეთში), ხოლო სხვა თემებში ნაკლებად ამკრძალავი ღონისძიებები უნდა გატარდეს, რათა ამ თემებში ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ მოძრაობა გაიზარდოს (მაგალითად, ფლავისმან-ბერშუეთსა და წითელუბან-ლამისყანაში). ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მცხოვრები თემების მხარდაჭერისა და ნდობის დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით, ყველა აქტორმა პრიორიტეტი თემებთან კომუნიკაციის გაძლიერებას, კონსულტაციასა და ერთობლივ დაგეგმვას უნდა მიაჩნდეს. ეს თემებისათვის ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის (კონსულტაციებამდე და კონსულტაციების შემდეგ) ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ღონისძიების შემუშავებას გულისხმობს.

23 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, ქალი, 51 წლის, დაქორწინებული, უმუშევარი, ატოც-დირბი.

24 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, მამაკაცი, 27 წლის, დაუქორწინებელი, უმუშევარი, ატოც-დირბი.

4

დაძაბულობის ზრდისა და ძალადობის განახლების პოტენციალი

უსაფრთხოება და კონფლიქტის დინამიკა შეიძლება სწრაფად შეიცვალოს, როგორც უკეთესობისკენ, ისე უარესობისკენ. ერთი და იმავე პატარა გეოგრაფიული არეალის ფარგლებში, სხვადასხვა თემში უსაფრთხოების ტენდენციები შეიძლება განსხვავდებოდეს. ხშირად, ერთ რეგიონში პატარა ნეგატიურმა ტენდენციამ შეიძლება უფრო ფართო გავლენა იქონიოს და ძალადობის განახლება კი გამოიწვიოს. კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თემებს ადგილობრივ დონეზე დაძაბულობის ზრდის, ამის გამომწვევი მოვლენების და მათი მოხდენის ალბათობის განსაზღვრის უნიკალური ალლო აქვთ. ქვემოთ მოცემული შედეგები ადგილობრივ და საერთაშორისო აქტორებს დაძაბულობის შემცირებისა და ძალადობის აღკვეთის სტრატეგიის შემუშავებაში დაეხმარება.


როგორია თემებში ძალადობის განახლების პოტენციალი?

მოსახლეობა მომავალს ოპტიმისტურად უყურებს, მაგრამ ნიქოზ-მერეთის რესპონდენტების ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ 2011 წელს დაძაბულობის ზრდა ან ძალადობის განახლება მოსალოდნელია.

მთლიანობაში, გამოკითხულთა 41% ფიქრობს, რომ 2011 წლის ივლისისათვის მათ თემში მდგომარეობის დაძაბვა „საკმაოდ“ ან „ძალიან“ მოსალოდნელია; 40% დაძაბულობის ზრდის რისკს საშუალოდ აფასებს, ხოლო 17% მიიჩნევს, რომ მდგომარეობის დაძაბვის მოსალოდნელობა „საკმაოდ“ ან „ძალიან“ დაბალია. 2010 წლის ივლისის კვლევასთან შედარებით, ეს პოზიტიური ტენდენციაა. მაშინ დაძაბულობის ზრდას „საკმაოდ“ ან „ძალიან“ მოსალოდნელად გამოკითხულთა 50% მიიჩნევდა. ასეთი გაუმჯობესების მიუხედავად, შედეგები ცხადყოფს, რომ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მომავალი ბუნდოვანია. 2010 წლის ივლისის მსგავსად, ნიქოზ-მერეთის მოსახლეობა ყველაზე პესიმისტურად არის განწყობილი – 65% თვლის, რომ დაძაბულობის ზრდა ან ძალადობის განახლება მოსალოდნელია (გრაფიკი 9 – იგივე მაჩვენებელი 2010 წლის ივლისში 68% იყო). მსგავსი პესიმისტური განწყობა, ერთი შეხედვით, 2010 წლის დასაწყისიდან რეგიონში უსაფრთხოების გაუმჯობესებასთან წინააღმდეგობაში მოდის, მაგრამ სრულიად მიესადაგება „ფრონტზე ცხოვრების“ გაცდას.

გრაფიკი 9: დაძაბულობის ზრდის პოტენციალი

რამდენად დიდი თქვენს თემში/სოფელში მდგომარეობის დაძაბვის საფრთხე?



რა მოვლენებს შეუძლია გამოიწვიოს დაძაბულობის ზრდა და რამდენად მოსალოდნელია ეს მოვლენები?

პოლიტიკური ესკალაცია, სროლები და რუსებისა და ოსების მიერ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადმონევა დაძაბულობის ზრდის ან ძალადობის განახლების ყველაზე დიდ რისკად სახელდება.

2010 წლის ივლისის მსგავსად, მოსახლეობას ძალადობის განახლების გამომწვევ ყველაზე სავარაუდო მოვლენად პოლიტიკური ესკალაცია მიაჩნია – საქართველოს და რუსეთს შორის (75%) ან თბილისსა და ცხინვალს შორის (36%) (გრაფიკი 10). ეს მიანიშნებს, რომ ადამიანები დაძაბულობის მთავარ მიზეზს საკუთარი თემის გარეთ და საკუთარი გავლენის მიღმა ეძებენ. დაძაბულობის ზრდის გამომწვევ სხვა მოვლენებად სროლები (35%) და რუსებისა ან ოსების მიერ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადმონევა სახელდება (20%).

2010 წლის ივლისის კვლევასთან შედარებით, პასუხები ამ კვლევაში განსხვავებულია. მაგალითად, რესპონდენტების პროპორცია, ვინც საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკურ ესკალაციას ძალადობის განახლების შესაძლო მიზეზად მიიჩნევს, 56%-იდან 75%-ამდე გაიზარდა და 31%-იდან 36%-ამდე იმათი რაოდენობა, ვინც ასეთ მოვლენად თბილისსა და ცხინვალს შორის შესაძლო ესკალაციის ასახელებს. ეს, სავარაუდოდ, ადგილობრივი ინციდენტების შემცირებით და, შესაბამისად, ადგილობრივი მოვლენის უფრო ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში გადაზრდის ალბათობის შემცირებით აიხსნება და არა გაუარესებული პოლიტიკური გარემოთი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც შესაძლო მოვლენებად სამხედრო ძალებს შორის შეტაკებას ან შიდა პოლიტიკურ არეულობას ასახელებს, შესაბამისად, 23%-იდან 16%-ამდე და 23%-იდან 13%-ამდე შემცირდა. პირველი შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ 2010 წლის ივლისის კვლევაზე 2010 წლის მარტში ტელეკომპანია იმედი რუსეთის ინტერვენციის შესახებ მოდელირებული სიუჟეტის გაშვებამ იქონია გავლენა. იმ დროს ამ სიუჟეტმა ქართველებში საკმაოდ დიდი პანიკა გამოიწვია²⁵, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ, რუსეთის შესაძლო სამხედრო აგრესიის გამო მღელვარებამ მნიშვნელოვნად იკლო. რაც შეეხება შიდა პოლიტიკურ არეულობას, 2009 წელთან შედარებით, 2010 წელს საქართველოში რამე მასშტაბური პოლიტიკური არეულობა ან დემონსტრაცია არ მომხდარა.

გრაფიკი 10: დაძაბულობის ზრდის შესაძლო გამომწვევი მოვლენები მონაწილეებმა ძალადობის ზრდის ან კონფლიქტის განახლების შემდეგი გამომწვევი მიზეზები დაასახელეს:

	ეს კვლევა	ივლისი, 2010	წითელუბან-ლამისყანა
შემდგომი პოლიტიკური ესკალაცია რუსეთსა და საქართველოს შორის	75%	56%	100%
შემდგომი პოლიტიკური ესკალაცია თბილისსა და ცხინვალს შორის	36%	31%	11%
სროლები	35%	41%	0%
რუსების ან ოსების მიერ გამყოფი ხაზის გადმონევა	20%	27%	2%
სარწყავი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები	17%	15%	94%
შეტაკებები სამხედრო ძალებს შორის	16%	23%	0%
შიდა პოლიტიკური არეულობა	13%	23%	0%
პოლიტიკოსების არაზუსტი ან შუღლის დამნერგავი განცხადებები	12%	6%	0%
შეშის მოპოვების შეუძლებლობა ²⁶	12%	---	83%
კრიმინალური მდგომარეობის გაუარესება	10%	9%	1%
ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დასრულება	10%	14%	0%
საგარეო პოლიტიკური ვითარება	8%	5%	7%
ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება	7%	11%	0%
არაზუსტი ან შუღლის-დამნერგავი მედია-სიუჟეტები	5%	3%	0%
ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაწევა ქართველების მიერ	4%	2%	1%
ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაკვეთის შესაძლებლობის შეზღუდვა	3%	1%	0%
რეგიონში იარაღის შემოტანა	2%	4%	0%
სასმელი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები	1%	6%	1%
ხალხის არალეგალური მოძრაობის ზრდა	1%	1%	0%

ატოც-დირბის მოსახლეობა ყველაზე მოსალოდნელ გამომწვევ მოვლენად სროლებს ასახელებს, ხოლო ნიქოზ-მერეთისა და ფლავისმან-ბერშუეთის მოსახლეობა – ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის შესაძლო გადმონევას.

ატოც-დირბის რესპონდენტთა 58%-მა დაძაბულობის ზრდის შესაძლო გამომწვევ მოვლენად სროლები დაასახელა. საშუალო მაჩვენებელი 35%-ია. ეს მაჩვენებელი კარგად ასახავს ამ რეგიონში სროლების შედარებით სიხშირეს, ისევე, როგორც 2010 წლის ივლისის შემდეგ მსგავსი ინციდენტების სიხშირის შემცირებას – წინა კვლევის დროს სროლები, როგორც გამომწვევი მოვლენა, გამოკითხულთა 84%-მა დაასახელა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინალური მდგომარეობა ამ რეგიონში მნიშვნელოვან საფრთხედ იყო მიჩნეული – შესაძლო გამომწვევ მოვლენად ის 20%-მა დაასახელა – იგივე მაჩვენებელი ფლავისმან-ბერშუეთში 9%, ნიქოზ-მერეთში 7%, ხოლო წითელუბან-ლამისყანაში – 1%-ზე ნაკლები. ავტორებმა ვერ ახსნეს ეს ფაქტი და ატოც-დირბში დანაშაულის დონისა და ხასიათის დეტალურად შესწავლის რეკომენდაციით გამოდიან.

ნიქოზ-მერეთის მოსახლეობის 29% და ფლავისმან-ბერშუეთის 28% დაძაბულობის ზრდის შესაძლო გამომწვევ მოვლენად რუსი ან ოსი სამხედროების მიერ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადმონევას ასახელებს. იგივე მაჩვენებელი ატოც-დირბში 4%, ხოლო წითელუბან-ლამისყანაში – 2%-ია. ამ შეხედულებაზე, შესაძლოა, 2010 წლის 29 სექტემბერს მომხდარმა ინციდენტმა იქონია გავლენა. მაშინ

26 2010 წლის ივლისის კვლევაში ეს კატეგორია არ ფიგურირებდა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ რუსი მესაზღვრეების მიერ გამყოფი ხაზის ერთპიროვნულად დემარკაციის მცდელობა დააფიქსირა. გაჩნდა ცნობები, რომ ამ მცდელობამ, რომლის შესახებ თემებს საკმაოდ მწირი ინფორმაცია ჰქონდათ, დიდი მღელვარება გამოიწვია.²⁷ ეს შედეგები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, თუ როგორი შეშფოთებულია ნიქოზ-მერეთისა და ფლავისმან-ბერშუეთის მოსახლეობა ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მდებარეობის გაურკვევლობის გამო. აღსანიშნავია ისიც, რომ ნიქოზ-მერეთის რესპონდენტების 27% შესაძლო გამომწვევ მოვლენებად სამხედრო ძალებს შორის შეტაკებას (საშუალო მაჩვენებელი 16%-ია) და პოლიტიკოსების არაზუსტ ან შუღლის დამწერგავ განცხადებებს (საშუალო მაჩვენებელი 12%-ია) ასახელებს. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იქ მცხოვრები ადამიანები, ინციდენტების სიხშირის შემცირების მიუხედავად, თავს ფრონტის ხაზზე გრძობენ.

წითელუბან-ლამისყანის მოსახლეობა მომავალში დაძაბულობის შესაძლო გამომწვევ მოვლენად სარწყავ წყალსა და შეშაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პრობლემებს უფრო მიიჩნევს.

დაძაბულობის ზრდის შესაძლო გამომწვევი მოვლენების შესახებ პასუხები წითელუბან-ლამისყანასა და კვლევის სხვა არეალებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამ რეგიონის მოსახლეობა კონფლიქტის გავლენას ფიზიკურ უსაფრთხოებაზე გაცილებით ნაკლებად განიცდის. საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური ესკალაციის გარდა (100%), ახალი დაძაბულობის შესაძლო გამომწვევ მოვლენად, რომელიც კონფლიქტის კონტექსტიდან გამომდინარეობს, რესპონდენტები ზამთარში შეშის შეგროვების შეუძლებლობას (83%) და სარწყავი წყლის მიწოდებასთან (94%) დაკავშირებულ საკითხებს ასახელებენ. მაგალითისთვის, ძალადობის შესაძლო გამომწვევ მოვლენებს შორის ამ ჯგუფიდან არავის დაუსახელებია: სროლები, სამხედრო ძალებს შორის შეტაკება, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გასვლა რეგიონიდან ან იარაღის შემოტანა (გრაფიკი 10). როგორც უკვე აღვნიშნეთ, წითელუბან-ლამისყანა კონფლიქტის კონტექსტიდან საკმაოდ მოშორებითა და სამ დანარჩენ ჯგუფში არსებულ ყოველდღიურ საფრთხეებს ნაკლებად განიცდის.

წითელუბან-ლამისყანა – განსაკუთრებული შემთხვევა

უმეტეს საკითხებზე წითელუბან-ლამისყანის მოსახლეობის პასუხები კვლევის დანარჩენი სამი ჯგუფის პასუხებისაგან განსხვავდება. ამ რეგიონის თემებს კონფლიქტის სიახლოვე ნაკლებად აღელვებთ და გაუკაცრიელებაც ყველაზე ნაკლებად შეეხო. გარდა ამისა, მოსახლეობა ფიზიკური უსაფრთხოების ინციდენტების მომსწრე იშვიათად ხდება და მათ თემის წინაშე არსებულ მწვავე პრობლემათა ან პირად საფრთხეთა რიცხვში არ განიხილავს. სამაკიეროდ, წყლის, საძოვრებისა და შეშის ხელმიუწვდომობას უფრო განიცდიან. ამ რეგიონის მოსახლეობა თავს საკმაოდ დაცულად გრძობს. ეს იმიტომ, რომ უწინ ეს ტერიტორია ცხინვალის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს არ ესაზღვრებოდა და კონფლიქტის ზონაში მხოლოდ მას შემდეგ მოხვდა, რაც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ოსმა და რუსმა სამხედროებმა ახალგორის რეგიონი დაიკავეს (რომელიც ამ თემებს ესაზღვრება). ამას გარდა, ეს რეგიონი ეთნიკურად შერეულია და გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მყოფ ნათესავებსა და მეგობრებთან კონტაქტს ინარჩუნებს.


მოსახლეობის აზრით, 2011 წლის პირველ ნახევარში ყველაზე მეტად მოსალოდნელი გამომწვევი მოვლენები სარწყავი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები და სროლებია.

მათ, ვინც დაძაბულობის ზრდის ან კონფლიქტის განახლების შესაძლო გამომწვევი მოვლენა დაასახელა, 2011 წლის პირველ ნახევარში მათი მოხდენის მოსალოდნელობა უნდა შეეფასებინა. ყველაზე ხშირად დასახელებული ექვსი შესაძლო გამომწვევი მოვლენიდან სარწყავ წყალთან დაკავშირებული პრობლემები 2011 წლის პირველ ნახევარში ყველაზე მოსალოდნელ მოვლენად დასახელდა (გამოკითხულთა 97% მას „მოსალოდნელად“ ან „ძალიან მოსალოდნელად“ მიიჩნევს). მეორე ადგილზეა სროლები (85%) და რუსი და/ან სამხრეთ ოსეთის სამხედროების მიერ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადმოწევა (გრაფიკი 11). ეს შედეგები კარგად ასახავს, თუ როგორ იღწვის თემი სარწყავი წყლის მოსაპოვებლად და ასევე იმ ფაქტს, რომ მოსახლეობას 2011 წელს ამ საკითხის პოლიტიკური გადანეგების იმედი არ აქვს. ეს შედეგები ასახავს ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მდებარე თემებში სროლების სიხშირეს და გამყოფი ხაზის გაურკვევლობასთან დაკავშირებულ მღელვარებას.

27 საქართველოს ხელისუფლების მტკიცებით, დემარკაციის მცდელობას ქვემო ნიქოზის, ზემო ნიქოზის, დიცის, არბოსა და ქორდის მახლობლად ჰქონდა ადგილი. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ ადმინისტრაციული საზღვრის გადმოწევა მხოლოდ დიკში დაადასტურა: http://eumm.eu/en/press_and_public_information/press_releases/2315/?year=2010&month=12

გრაფიკი 11: მომავალი 12 თვის განმავლობაში დაძაბულობის გამომწვევი მოვლენების მოსალოდნელობა

რამდენად მოსალოდნელია, რომ ქვემოთ დასახელებული რომელიმე მოვლენა მოხდეს ამ წლის განმავლობაში?



გამოკითხულები ფიქრობენ, რომ პოლიტიკური გარემო სტაბილურია და 2011 წლის პირველ ნახევარში პოლიტიკური ესკალაცია ნაკლებადაა მოსალოდნელი; თუმცა, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადმოწევა მოსალოდნელად მიაჩნიათ.

რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ შესაძლო გამომწვევი მოვლენები 2011 წლის პირველ ნახევარში უფრო ნაკლებად მოსალოდნელია, ვიდრე ეს 2010 წლის მეორე ნახევართან მიმართებაში მიაჩნდათ. მაგალითად, იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც რუსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკურ ესკალაციას ერთ-ერთ მოსალოდნელ მოვლენად ასახელებდა, 72%-იდან 52%-ამდე შემცირდა, ხოლო იმათი, ვინც თბილისსა და ცხინვალს შორის ესკალაციას ასახელებდა, 74%-იდან 50%-ამდე. ეს მიანიშნებს, რომ ხალხი თვლის, რომ ამ პერიოდში პოლიტიკური გარემო დასტაბილურდა.

ამავდროულად, მოსახლეობას რუსეთის და სამხრეთ ოსეთის მიერ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადმოწევა უფრო აფიქრებს. რესპონდენტთა 64% ფიქრობს, რომ ეს „მოსალოდნელი“ ან „ძალიან მოსალოდნელია.“ იგივე მაჩვენებელი 2010 წლის ივლისში 16% იყო. ეს, ნაწილობრივ, 2010 წლის სექტემბერში ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გამწვანების პუნქტების საქართველოს მიერ კონტროლირებულ მხარეზე გადმოწევის ინციდენტს უკავშირდება (იხილეთ ზევით). ეს ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოსახლეობას ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაურკვეველობა აფიქრებს და კიდევ უფრო ამყარებს არგუმენტს, რომ ზოგიერთ რეგიონში ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მდებარეობისა და სტატუსის კონტროლისათვის დაპირისპირების დაწყების რისკი არსებობს.

შეჯამება და დასკვნები

ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მცხოვრები თემები მომავალს უფრო ოპტიმისტურად უყურებენ, ვიდრე 2010 წლის ივლისში – დაძაბულობის ზრდას უფრო ნაკლები ადამიანი მოელოდა. ამის მიუხედავად, ნიქოზ-მერეთის რესპონდენტების ნახევარზე მეტი თვლიდა, რომ დაძაბულობის ზრდა ან ძალადობის ესკალაცია 2011 წლის პირველ ნახევარში მოსალოდნელი იყო. გამოკითხულთა აზრით, შემდეგი მოვლენები შეიცავს დაძაბულობის ზრდის და/ან ძალადობის ესკალაციის რისკს: ა) პოლიტიკური ესკალაცია – თანაბრად ყველა ჯგუფში; ბ) სროლები – განსაკუთრებით ატოც-დირბში; გ) ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადმოწევა რუსეთის ან სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ – განსაკუთრებით, ნიქოზ-მერეთსა და ფლავისმან-ბერშუეთში. სხვა ჯგუფებისგან განსხვავებით, დაძაბულობის ზრდისთვის მთავარ საფრთხედ წითელუბან-ლამისყანის მოსახლეობა შეშასა და სარწყავ წყალზე ხელმისაწვდომობის პრობლემებს თვლის. იქაურების აზრით, პოლიტიკური გარემო დასტაბილურდა და პოლიტიკური ესკალაცია 2011 წლის

პირველ ნახევარში ნაკლებად სავარაუდოა. სამაგიეროდ, დაძაბულობის გამომწვევ ყველაზე სავარაუდო მოვლენებად სარწყავ წყალთან დაკავშირებული პრობლემები და სროლები დასახელდა. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობას ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის ცვლილება 2010 წლის ივლისთან შედარებით უფრო სავარაუდოდ მიაჩნია, რაც ადმინისტრაციულ გამყოფი ხაზთან დაკავშირებულ გაურკვეველობას და მასზე გავლენის მოსაპოვებლად ძალადობის საფრთხეს ასახავს.

როგორც ვხედავთ, საჭიროა პრევენციული ღონისძიებების გატარება, რათა სარწყავი წყალი (განსაკუთრებით, წითელუბან-ლამისყანაში), სროლები (ატოც-დირბი) და ადმინისტრაციული ხაზის გადმონევა (ნიქოზ-მერეთი და ფლავისმან-ბერშუეთი) ახალ პრობლემებად არ იქცეს. გარდა ამისა, უნდა გატარდეს ღონისძიებები ამ სამი ტიპის ინციდენტის, ასევე, კონფლიქტთან დაკავშირებული უფრო ფართო პოლიტიკური საკითხების შესახებ თემებისათვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმი, რაც დაძაბულობასა და შიშს შეასუსტებს.

კავშირი, ნდობა და რწმენა გამყოფი ხაზის გადაღმა

სამხრეთ ოსეთსა და შიდა ქართლში მცხოვრებ თემებს შორის კავშირი, ტრადიციულად, საკმაოდ ინტენსიური იყო, მაგრამ 1990-იან წლებში კონფლიქტის დაწყების და, განსაკუთრებით, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, ამ კავშირების შენარჩუნება გართულდა, ვინაიდან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაკვეთის შესაძლებლობები სულ უფრო მცირდება. ადგილობრივ დონეზე დაძაბულობის შემცირება და ძალადობის აღკვეთა ბევრად არის დამოკიდებული თემების უნარსა და სურვილზე, შეინარჩუნონ კონტაქტი გამყოფი ხაზის გადასწვრივ. ამ ნაწილში განხილულია ამჟამად არსებული ურთიერთობის ხარისხი და ტიპები; ლაპარაკია იმაზე, თუ როგორი ურთიერთობების დამყარებაზე იქნებოდნენ თანახმა ეს თემები; ასევე, რამდენად ეფექტიანად მიაჩნიათ მსგავსი ზომები შიდა ქართლისა და სამხრეთ ოსეთის თემებს შორის ნდობისა და რწმენის აღსადგენად.

რა სახისა და ხარისხის კავშირი არსებობს გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს მცხოვრებ თემებს შორის?

ოსებთან კონტაქტი კვლავ ძალიან მცირეა, ნითელუბან-ლამისყანის გამოკლებით.

სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოსებთან ურთიერთობის სახე და ხარისხი 2010 წლის ივლისის შემდეგ არსებითად არ შეცვლილა (გრაფიკი 12). რესპონდენტთა დიდ უმრავლესობას (78%. 2010 წლის ივლისთან შედარებით 5%-ით ნაკლები) ამჟამად სამხრეთ ოსებთან არანაირი კავშირი არ აქვს, 17% ნათესაურ კავშირებს ინარჩუნებს, 11% – მეგობრულს და 1%-ზე ნაკლები – ბიზნეს-კავშირებს.

გრაფიკი 12: ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ კავშირების სახე და ხარისხი

რა კავშირი აქვს თქვენს ოჯახს სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ეთნიკურ ოსებთან?

მოცემული კვლევა 2010 წლის ივლისი

კავშირის სახე	2008 წლის ივლისი	2010 წლის ივლისი
მეგობრული კავშირები	11%	6%
ნათესაური კავშირები	17%	20%
ბიზნეს-კავშირები	0.3%	0.3%
არანაირი კავშირი	78%	73%
უნდობლობა	0.2%	2%
ღიად მტრული განწყობა	0%	0.4%

ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ თემებთან კავშირის ხარისხი სოფლების ჯგუფებს შორის განსხვავებულია – ატოც-დირბის და ნიქოზ-მერეთის მოსახლეობას ყველაზე ნაკლები კავშირი აქვს (2010 წლის ივლისის მსგავსად, 10%-ზე ნაკლები). ფლავისმან-ბერშუეთში ნათესაური კავშირები მოსახლეობის თითქმის ერთ მეხუთედს აქვს (18%; 2010 წლის ივლისში – 20%). ნითელუბან-ლამისყანაში კავშირები უფრო მრავალგვარია – 52%-ს ნათესაური კავშირები აქვს, 79% მეგობრულ კავშირებს ინარჩუნებს (2010 წლის ივლისში იგივე მაჩვენებლები, შესაბამისად, 66% და 26% იყო). ნითელუბან-ლამისყანის მოსახლეობაში გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ თემებთან ურთიერთობის მაღალი დონე, ნაწილობრივ, იმ გარემოებით აიხსნება, რომ იქ ბევრი ეთნიკური ოსი ცხოვრობს (მოსახლეობის 46%) და ახლოს არის ახალგორის რაიონთან, რომელიც ახლა რუსეთის და სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ კონტროლდება. აქ ეთნიკურად ქართველები ცხოვრობენ და ნითელუბან-ლამისყანაში მეგობრებისა და ნათესავეების სანახავად გამყოფი ხაზს ხშირად კვეთენ. თუმცა, კვლევის ავტორებისთვის გაურკვეველია, რატომ შემცირდა ოჯახური კავშირების მქონე რესპონდენტების რაოდენობა და გაიზარდა მეგობრული კავშირების მქონეთა რიცხვი

ფლავისმან-ბერშუეთში კავშირების შენარჩუნება რთულდება. ნითელუბან-ლამისყანაში ამ მხრივ გაუმჯობესება შეინიშნება.

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (93%) ამბობს, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მეორე მხარესთან მათი ურთიერთობა არ შეცვლილა. 5% ამბობს, რომ ურთიერთობები გარკვეულწილად ან ძალიან გაუარესდა, ხოლო 2% ამბობს, რომ გაუმჯობესდა. ერთი შეხედვით, გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობების შენარჩუნება ყველაზე მეტად ფლავისმან-ბერშუეთში უჭირთ: 9% ამბობს, რომ კავშირები საკმაოდ ან ძალიან გაუარესდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის ივლისის შემდეგ გაუარესების დონე განახევრდა – მაშინ ყველა გამოკითხულიდან 10%-მა და ფლავისმან-ბერშუეთის რესპონდენტთა 19%-მა ურთიერთობების გაუარესება აღნიშნა. ნითელუბან-ლამისყანაში ურთიერთობების გაუარესებაზე არავინ საუბრობს, ხოლო 11% ამბობს, რომ ურთიერთობები გაუმჯობესდა.

2010 წლის ივლისში ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ხშირად მეგობრებსა თუ ნათესავეებთან კავშირების განახლებას არ ცდილობენ, რადგან ამის უარყოფითი შედეგების ემინათ. 2010 წლის დეკემბერშიც ითქვა, რომ მეორე მხრისთვის ხელის განოდებას ყოყმანობს, რადგან ამას, ნაწილობრივ, საქართველოს ხელისუფლების შესაძლო რეაქცია განაპირობებს: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სოფლები გვერდი-გვერდაა, მათთან არანაირი კონტაქტის უფლება არ გვაქვს. თუ რამე კავშირის დამყარებას შევეცდებით და ჩვენი (ქართული) პოლიცია დაგვიჭერს, მოლაღატებად გამოგვაცხადებენ.“²⁸

კონტაქტის რა სურვილი არსებობს და რა ფორმა უნდა მიიღოს მან?

გამყოფი ხაზების გასწვრივ ჩართულობის წამახალისებელი ღონისძიებების მიმართ 2010 წლის ივლისთან შედარებით მეტი მხარდაჭერაა. ყველაზე მეტად მოსახლეობა ადამიანის უფლებათა დაცვას უჭერს მხარს.

2010 წლის ივლისის მსგავსად, ეთნიკურად სამხრეთი ოსებისადმი უნდობლობას ან მტრულ დამოკიდებულებას შიდა ქართლის მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი გამოხატავს (გრაფიკი 12). ეს ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში, თუ იქნება შესაძლებლობა, თემები გამყოფი ხაზების გადასწვრივ ურთიერთობებს განაახლებენ. მართლაც, მხარდაჭერა ყველა სახის ჩართულობისადმი 2010 წლის ივლისის შემდეგ 5-10%-ის ფარგლებში გაიზარდა (გრაფიკი 13). ეს შეიძლება კონტექსტის ზოგადი სტაბილიზაციით და ინციდენტების შემცირებით აიხსნას ან, უბრალოდ, დროის ფაქტორმა იქონია გავლენა. ჩართულობის სახეობებს შორის ყველაზე მეტად მხარს შემდეგს უჭერენ: ადამიანის უფლებების დაცვას (95% „ემხრობა“ ან „ძალიან ემხრობა“), სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფას (90%), ერთმანეთთან ვაჭრობის ხელშეწყობას (85%) და ადგილობრივ დონეზე კონფლიქტის გადაწყვეტის მექანიზმების შემუშავებას (78%).

გრაფიკი 13: ჩართულობის ზომების მხარდაჭერა (მოიცავს „სრულად ვემხრობი“ და „ვემხრობი“ პასუხებს)

რამდენად ემხრობით სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოსებთან ჩართულობის ნახალისების შემდეგ ღონისძიებებს?

	მოცემული კვლევა	წინა კვლევა
ადამიანის უფლებების დაცვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების	95%	90%
უსაფრთხოების ხელშეწყობა	90%	82%
ერთმანეთთან ვაჭრობის ხელშეწყობა	85%	78%
ადგილობრივ დონეზე კონფლიქტის გადაწყვეტის მექანიზმების შექმნა	78%	67%
ნათესავებისა და მეგობრების სანახავად მეორე მხარეს გადასვლის შესაძლებლობა	76%	69%
მოსაზრებების გაზიარება, თუ როგორ უნდა მოხდეს ძალადობის თავიდან აცილება	74%	65%
ყოფილ მეზობლებთან სასაუბროდ შეხვედრა	73%	67%
მოსაზრებების გაზიარება, თუ როგორ უნდა მოხდეს ეკონომიკური განვითარება	72%	61%
ქართული და ოსური პოლიციის ერთობლივი მუშაობა	66%	59%
მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა (მაგალითად, გაზი, ელექტროენერჯია)	56%	50%

პასუხები ცხადყოფს, რომ შიდა ქართლში, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრებნი უფრო იმ მექანიზმებს უჭერენ მხარს, რომელთაც ადგილობრივ დონეზე პრაქტიკული სარგებლის მოტანა შეუძლიათ (ვთქვათ, უსაფრთხოების განმტკიცება ან ვაჭრობის საშუალებით ხალხისთვის ფულის შოვნის შესაძლებლობის შექმნა), ვიდრე გარედან წამოსულ ინიციატივებს, როგორცაა, მაგალითად, პოლიციასთან ურთიერთობის პროცესი. გარედან მართული ზომების მიმართ თავშეკავება გამოხატავს განცდას, რომ დაძაბულობის შემცირებისა და ნდობის აღდგენის პროცესში წამყვანი როლი ადგილობრივმა თემებმა უნდა შეასრულონ. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ჩართულობის ფორმალური ღონისძიებების გატარების ნაცვლად, ადგილობრივმა და საერთაშორისო აქტორებმა უნდა განიხილონ ნაბიჯები, რომელებიც საშუალებას მისცემთ თემებს, საკუთარი ტემპით თავად განავითარონ არაფორმალური ჩართულობის პროცესები.

ჩართულობის ღონისძიებებს ყველაზე ნაკლებ მხარს ნიქოზ-მერეთის მოსახლეობა უჭერს, რასაც კონფლიქტის ფსიქოლოგიური გავლენა და 'ფრონტის ხაზზე' ცხოვრების განცდა განაპირობებს.

2010 წლის ივლისის მსგავსად, ნიქოზ-მერეთის მოსახლეობა გაცილებით ნაკლები ენთუზიაზმით ეკიდება ჩართულობის შემოთავაზებულ ზომებს. მათი მოსაზრება ჩართულობასთან დაკავშირებით დადებითია, მაგრამ ისინი უბრალოდ „მხარს უჭერენ“, ვიდრე „ძალიან უჭერენ მხარს“ რაიმე ღონისძიებას. ნიქოზ-მერეთში ყველა ტიპის ჩართულობისადმი შედარებით ძლიერი წინააღმდეგობაა. მაგალითად, რესპონდენტთა 48% ეწინააღმდეგება ძირითადი მომსახურების მიწოდებას (მაგალითად, გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრები თემებისათვის), 16% – ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მეგობრებისა და ნათესავების სანახავად წასვლას, 15% – ქართველებისა და სამხრეთ ოსების („პოლიციის“) ერთობლივ მუშაობას და 11% – ნდობისა და რწმენის აღსადგენად სასაუბროდ ყოფილ მეზობლებთან შეხვედრას (იგივე მაჩვენებლები წინა კვლევისას, შესაბამისად, 17%, 7%, 8% და 5% იყო).

ეს ნეგატიური განწყობა იმით აიხსნება, რომ აღნიშნული რეგიონი აგვისტოს ომის დროს ყველაზე მეტად დაზარალდა და აქაურები თავს 'ფრონტის ხაზზე' გრძნობენ. ეს კი ნიშნავს, რომ ჩართულობის ხელშეწყობი გარემოს შექმნას დანარჩენ სამ არეალში უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ხოლო მოცემულ ეტაპზე ნიქოზ-მერეთში აქცენტი ფსიქოლოგიური დახმარების მიწოდებასა და უსაფრთხოების გაცდის განმტკიცებაზე უნდა გაკეთდეს.

ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ რა საჭიროებები არსებობს ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე (და როგორ შეუძლიათ მათ ხელი შეუწყონ ჩართულობას)?

მწირი სოციალური დახმარება და თავდასხმებისა და/ან მოტაცებებისგან არასათანადო დაცვა, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ყველაზე მწვავე საკითხებია, განსაკუთრებით, ფლავისმან-ბერშუეთსა და ნიქოზ-მერეთში.

რესპონდენტებს, რომლებმაც ადამიანის უფლებების დაცვა ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაღმა ნდობისა და რწმენის აღდგენის საშუალებად დაასახელეს, ყველაზე ეფექტიანი ღონისძიებები უნდა დაეკონკრეტებინათ. ყველაზე ეფექტიან ღონისძიებად კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონში მცხოვრებთათვის დამატებითი სოციალური დახმარების შეთავაზება დასახელდა – ეს პასუხი გამოკითხულთა 64%-მა აირჩია (გრაფიკი 14)

ფლავისმან-ბერშუეთის და ნიქოზ-მერეთის მოსახლეობა ყურადღებას კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონში მცხოვრები ადამიანებისათვის სოციალური დახმარებისა გაზრდაზე ამახვილებს – შესაბამისად, 71% და 62%. იგივე მაჩვენებელი ატოც-დირბში 56%-ია, ხოლო წითელუბან-ლამისყანაში – 0%. ამ ჯგუფის რესპონდენტები უფრო მეტად უჭერდნენ მხარს თავდასხმებისა და მოტაცებებისგან თავის დაცვას – შესაბამისად, 58% და 46%. იგივე მაჩვენებელი ატოც-დირბში 31%-ია, ხოლო წითელუბან-ლამისყანაში – 0%. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნიქოზ-მერეთის რესპონდენტების 32% უპირატესობას ფსიქოლოგიურ დახმარებას ანიჭებს, რაც ადამიანებზე 2008 წლის აგვისტოს ომისა და მიმდინარე კონფლიქტის გავლენით აიხსნება.

გრაფიკი 14: ადამიანის უფლებების დაცვის ყველაზე ეფექტიანი ღონისძიება რომელი ღონისძიებაა ყველაზე ეფექტიანი ადამიანის უფლებების დაცვისათვის?

ზოგადად ყველაზე მნიშვნელოვანია ...

სოციალური დახმარება/პრივილეგიები კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონში მცხოვრებთათვის	64%	ფლავისმან-ბერშუეთისთვის – 71%
კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანების უკეთ დაცვა თავდასხმებისა და გატაცებებისგან	47%	ფლავისმან-ბერშუეთისთვის – 58%
გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები	34%	ატოც-დირბისთვის – 73%
კონფლიქტის ზონაში საკუთრების უფლების დაცვა	29%	ნიქოზ-მერეთისთვის – 45%
გაუმჯობესებული სამედიცინო მომსახურება	24%	ატოც-დირბისთვის – 31%
ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადასწვრივ ადამიანთა მოძრაობის ხელშეწყობა	22%	წითელუბან-ლამისყანისთვის – 100%
კონფლიქტის ზონაში დაზიანებული/განადგურებული ქონების კომპენსაცია	16%	ატოც-დირბისთვის – 36%
კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანების ფსიქოლოგიური დახმარება	15%	ნიქოზ-მერეთისთვის – 32%
სასმელი და სარწყავი წყლის ხარისხის გაუმჯობესება	15%	ფლავისმან-ბერშუეთისთვის – 18%
საქონლის ქურდობის აღკვეთა	14%	ატოც-დირბისთვის – 17%
სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა	12%	ფლავისმან-ბერშუეთისთვის – 25%
გაუმჯობესებული განათლება	4%	ნიქოზ-მერეთისთვის – 10%

ქონებასა და საცხოვრებელთან დაკავშირებული საკითხები ყველაზე აქტუალური ატოც-დირბშია; წითელუბან-ლამისყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ყველაზე აქტუალური საკითხი გადაადგილების თავისუფლებაა.

ატოც-დირბის მოსახლეობა ქონებრივი საკითხებით განსაკუთრებით არის დაინტერესებული; აქ გამოკითხულთა 73% პრიორიტეტს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ანიჭებს, ხოლო 36% – დაზიანებული ქონების გამო კომპენსაციების გაცემას. ის ფაქტი, რომ ამ ჯგუფში 56%-მა პრიორიტეტულად სოციალური დახმარების აღმოჩენაც დაასახელა, ხოლო 31%-მა – სამედიცინო მომსახურება, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ეს თემები იზოლირებულები არიან და სხვა არეალებთან შედარებით მომსახურებასა და მხარდაჭერაზე ხელი ნაკლებად მიუწვდებიან.

წითელუბან-ლამისყანა სხვა ჯგუფებისგან იმით გამოირჩევა, რომ გამოკითხულთა 100%-მა აქ პრიორიტეტი ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაღმა გადაადგილების ხელშეწყობას მიანიჭა. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული არც ერთი


სხვა საკითხი პრიორიტეტულად არ დასახელებულა. აღნიშნული გარემოება ამ რეგიონში უსაფრთხოების ინციდენტების ნაკლებობით აიხსნება და ხაზს უსვამს მოსახლეობის სურვილს, შეინარჩუნონ მჭიდრო კავშირი გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მყოფ მეგობრებსა და ნათესავებთან: „როცა ვიღაცა შენი ქვეყნის შიგნით საზღვარს გაავლებს, რა უფლებებზეა საუბარი? როცა მეორე მხარეს დარჩენილ ეკლესიაში ვერ მიდიხარ, რა უფლებები შეიძლება იყოს აქ? ერთადერთი გამოსავალი რუსების ნასვლა და ჩვენი უფლებების აღდგენაა.“²⁹ მიღებული შედეგები, როგორც პიროვნულ, ისე თემის დონეზე ამ ჯგუფისათვის საძოვრებსა და შეშაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობასაც უსვამს ხაზს. ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაღმა გადაადგილების ხელშეწყობა პრიორიტეტულად ასევე ნიქოზ-მერეთისა (35%) და ფლავისმან-ბერშუეთის (30%) ჯგუფში გამოკითხულთა მეოთხედზე მეტმა დაასახელა, რაც ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მეორე მხარესთან ვაჭრობის სურვილს ასახავს. თუმცა, ატოც-დირბში ეს საკითხები მნიშვნელოვნად არც ერთმა გამოკითხულმა არ მიიჩნია, რაც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ, სანამ ხალხი გამყოფი ხაზის გადაღმა მოძრაობაზე დაინყებს ფიქრს, მანამდე საჭიროა მინიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

რომელი ღონისძიებები იქნება ყველაზე ეფექტიანი

ვაჭრობის ხელშეწყობა ნდობისა და რწმენის აღსადგენად ყველაზე ეფექტიან ზომად მიიჩნევა

მართალია, ჩართულობის ყველა შემოთავაზებულ ღონისძიებას ჰქონდა მხარდაჭერა, მაგრამ ამ ღონისძიებების ეფექტიანობაში რწმენა ნაკლები იყო. გამყოფი ხაზის გადასწვრივ ვაჭრობის ხელშეწყობა ყველაზე ეფექტიან ღონისძიებად არის მიჩნეული – გამოკითხულთა 54%-მა ვაჭრობა ნდობისა და რწმენის აღსადგენად სამ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებათა შორის დაასახელა (გრაფიკი 15). გამყოფი ხაზის გადაღმა ურთიერთობების დასამყარებლად ამ ღონისძიების მნიშვნელობა ნიქოზ-მერეთში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების დისკუსიების დროსაც დადასტურდა: „კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობა ხალხს მხოლოდ ვაჭრობის საშუალებით შეუძლია მიიღოს. (ჩვენი ამჟამინდელი) პრობლემები ერგენტის ბაზრის დახურვამ გამოიწვია.“³⁰ საყურადღებოა ისიც, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების დაცვა ჩართულობის ყველაზე მხარდაჭერილ ღონისძიებად დასახელდა, იგი მხოლოდ მეხუთე ყველაზე ეფექტიან ღონისძიებად შეფასდა (23%).

გრაფიკი 15: ჩართულობის განსამტკიცებელი გზების ეფექტიანობის აღქმა
 ამ ეტაპზე სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოსებთან ნდობისა და რწმენის აღდგენა რა ღონისძიებებით არის შესაძლებელი?



სხვა ეფექტიან ღონისძიებებად მიჩნეულია: ა) ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მიმოსვლა მეგობრებისა და ნათესავების სანახავად (შერჩეულ ოქნა გამოკითხულთა 34%-ს მიერ); ბ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა (30%); გ) ომისა და ძალადობის თავიდან აცილების შესახებ

29 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, ქალი, წითელუბან-ლამისყანა.
 30 ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, მამაკაცი, 50 წლის, დაქორწინებული, უმუშევარი, ნიქოზ-მერეთი.

მოსაზრებების გაზიარება (28%). ყველა სხვა ღონისძიება ეფექტიანად გამოკითხულთა მეზუთედზე ნაკლებმა დაასახელა. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ღონისძიება ადმინისტრაციული გამოყოფი ხაზის გაყოლებაზე მცხოვრები თემების პრაქტიკულ საჭიროებებს ეხმიანება და ხაზს უსვამს იმ გარემობას, რომ ხალხს ურჩევნია, თავად გადანიშნოს, როგორ და როდის იურთიერთოს გამოყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ ადამიანებთან. ფოკუს-ჯგუფებმა ისიც ცხადყვეს, რომ ბევრის აზრით, ნდობის აღდგენის ადგილობრივი ინიციატივები წარმატებული ვერ იქნება, თუ მათ საქართველოს ხელისუფლებამ არ დაუჭირა მხარი: „რამის გაკეთებაზე რომც ვიფიქროთ, მათ (საქართველოს მთავრობამ) ამის ნება უნდა მოგვცენ. რა უნდა გავაკეთოთ? თუ იქ ნავალ (ადმინისტრაციული გამოყოფი ხაზის მეორე მხარეს) და დავბრუნდები, ისინი დამაპატიმრებენ. თემი ვერაფერს გააკეთებს, თუ კანონმა ამის საშუალება არ მოგვცა.“³¹

ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ვაჭრობის შემზღუდავი ზომები

რესპონდენტებს ადმინისტრაციული საზღვრის გადასწვრივ, სამხრეთ ოსეთში ვაჭრობის შემზღუდავი გარემოებები უნდა დაესახელებინათ. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (48%) ფიქრობს, რომ ადმინისტრაციული საზღვრის გადასწვრივ ვაჭრობა ქართული კანონმდებლობით იკრძალება. მეოთხედზე მეტი (26%) თვლის, რომ ვაჭრობა ლეგალურია, მაგრამ მას რუსი და ოსი სამხედროები უშლიან ხელს. რესპონდენტების მცირე ნაწილი (5%) ფიქრობს, რომ ვაჭრობა კანონით არ იკრძალება, მაგრამ პოლიცია ადმინისტრაციული გამოყოფი ხაზის გადაკვეთას ზღუდავს ან ასეთ ვაჭრობასთან ასოცირებული რისკი თავად წარმოადგენს შემაკავებელ ფაქტორს. 3%-ზე ნაკლებს მიაჩნია, რომ სამხრეთ ოსეთში ვაჭრობა არ სურთ. არც ერთ რესპონდენტს არ უთქვამს, რომ ასეთი ვაჭრობა მომგებიანი არ იქნება. წითელუბან-ლამისყანაში, სადაც მოსახლეობა ადმინისტრაციული საზღვრის მეორე მხარეს მდებარე თემებთან შედარებით მჭიდრო ნათესაურ და მეგობრულ კავშირებს ინარჩუნებს, თითქმის ყველა რესპონდენტს სჯერა, რომ ვაჭრობა აკრძალულია. ამის საპირისპიროდ, იმ რეგიონებში, რომლებიც, ტრადიციულად, სამხრეთ ოსეთთან ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა – ნიქოზ-მერეთი და ფლავისმან-ბერშუეთი – გამოკითხულები ვაჭრობის დაბლოკვაში რუსებისა და სამხრეთ ოსების მოქმედებებს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ.

მეჯამება და დასკვნა

ოსებთან კონტაქტი კვლავ ძალიან დაბალ დონეზეა, წითელუბან-ლამისყანის გამოკლებით, სადაც გამოყოფი ხაზის გადაღმა ურთიერთობას უფრო მეტი ხალხი ინარჩუნებს. მიუხედავად ამისა, ფლავისმან-ბერშუეთში ურთიერთობის შენარჩუნება უფრო და უფრო ჭირს. კავშირები მცირეა, რადგან შიშობენ, რომ იმ ადამიანებს, ვინც გამოყოფი ხაზის გადაღმა კონტაქტებს ინარჩუნებს, საქართველოს მთავრობა ეჭვის თვლით შეხედავს. გამოყოფი ხაზის მეორე მხარესთან ჩართულობის ნასახალისებლად ყველა ღონისძიებისადმი უფრო მეტი მხარდაჭერა არსებობს, რასაც მზარდი სტაბილურობა და დროის სვლა განაპირობებს. მაგრამ ნიქოზ-მერეთის მოსახლეობა მსგავს ღონისძიებებს ყველაზე ნაკლებად უჭერს მხარს; ამას ომის ფსიქოლოგიური გავლენა და 'ფრონტის ხაზზე' ცხოვრების განცდა განაპირობებს. ადამიანის უფლებების დაცვა ის ღონისძიებაა, რომელსაც ყველაზე მეტად უჭერენ მხარს. ეს ნიშნავს: ა) სოციალური დახმარების ზრდასა და თავდასხმებებისა და გატაცებებისგან დაცვის გაძლიერებას ფლავისმან-ბერშუეთსა და ნიქოზ-მერეთში; ბ) ატოც-დირბში ქონებისა და საცხოვრელის საჭიროებების მოგვარებას; გ) წითელუბან-ლამისყანაში მოძრაობის თავისუფლების უზრუნველყოფას. წინა კვლევის მსგავსად, ვაჭრობის ხელშეწყობა ყველაზე ეფექტიან ღონისძიებად მიიჩნევა და ასახავს თემების სურვილს, გატარდეს მთელი თემისათვის სარგებლის მომტანი პრაქტიკული ღონისძიება და თავად ხალხმა გადანიშნოს, როგორ და რანაირად იურთიერთოს მეორე მხარესთან.

დაბოლოს, ყველა აქტორმა გამოყოფი ხაზის გადასწვრივ კონტაქტებთან დაკავშირებული დაძაბულობა უნდა შეარბილოს: ურთიერთობების შენარჩუნების მოსურნეებს არ უნდა ეშინოდეთ, რომ ეს მათი მოტივების შესახებ ეჭვებს აღძრავს. აუცილებელია ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმებისა და ადმინისტრაციული გამოყოფი ხაზის გაყოლებაზე ამ მექანიზმების მოქმედების გადახედვა, რათა ისინი კვლევის ოთხ ჯგუფში გამოთქმულ საჭიროებებს უფრო კარგად მიესადაგონ. კონკრეტულად, ნიქოზ-მერეთის მოსახლეობას უნდა გაენიოს ფსიქოლოგიური დახმარება. და კიდევ, ყველა აქტორმა უნდა შეიმუშაოს ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს გამოყოფი ხაზის გადაღმა ვაჭრობას და ჩართულობის სხვა მექანიზმებს, რასაც ორივე მხარის თემებისათვის მოაქვს სარგებელი. ეს ღონისძიებები საქართველოს მთავრობის ან საერთაშორისო საზოგადოების მიერ არ უნდა იყოს ინიცირებული, არამედ, მათი განვითარება უნდა მოხდეს ადგილობრივი ინიციატივების საფუძველზე.

6

დასკვნა

ამ კვლევის შედეგებმა გამოავლინეს, რომ ახლა საუკეთესო დროა კონფლიქტის მხარეების მიერ ყველაზე მონყვლადი თემებისთვის მდგრადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესების შესამუშავებლად და განსავითარებლად. ამ კონსულტაციების მეშვეობით ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებზე მცხოვრებ თემებს უსაფრთხოების საკითხებისა და „თამაშის წესების“ შესახებ მკაფიო ინფორმაცია ექნებათ – წყლის სათავე ნაგებობებიდან დაწყებული ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაღმა ვაჭრობით დამთავრებული. ეს პროცესები ასევე საშუალებას მისცემს დაზარალებულ თემებს საკუთარი პრობლემები დააფიქსირონ – განსაკუთრებით, ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის ფარგლებში. მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი პროცესების შემუშავებისას ადგილობრივმა და საერთაშორისო აქტორებმა ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებზე მცხოვრებ თემებს შორის არსებული სხვაობები გაითვალისწინონ. ამ ნაწილში კვლევის მიერ სოფელთა სხვადასხვა ჯგუფში გამოვლენილი მთავარი განსხვავებები და საჭიროებებია ჩამოთვლილი.

აქ აუცილებელია ითქვას, რომ კვლევის შედეგად ამ რეგიონებში გამოვლენილი ტენდენციები მხოლოდ საინფორმაციო ხასიათს ატარებს და ერთი და იმავე ჯგუფის თემების მდგომარეობებს შორის ბევრი სხვაობა შეინიშნება. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი და საერთაშორისო აქტორები უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კონფლიქტის საპასუხოდ ზომების მიღებამდე ადგილობრივ თემებს დაეკითხონ. თემზე დაფუძნებული მიდგომა არამარტო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ქცევების ტრანსფორმაციაზე მოახდენს გავლენას (როგორც თემის შიგნით, ისე თემსა და უსაფრთხოების დამცველთა შორის), არამედ გაზრდის ორივე ჯგუფის პოტენციალს, განმუხტონ დაძაბულობა და თავიდან აიცილონ ძალადობის ესკალაცია. ეს კი ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე თემების მომავალი კეთილდღეობისა და სტაბილურობის უმთავრესი წინაპირობაა.

ატოც-დირბი

ოთხივე ჯგუფს შორის ატოც-დირბი ყველაზე იზოლირებული და გაუკაცრიელებულია. ამავე დროს მდგომარეობა ამ რეგიონში ყველაზე არასტაბილურია: უსართხოების ინციდენტები აქ ყველაზე ხშირად ხდება, რითაც მოსახლეობა ძალიან შეწუხებულია. ატოც-დირბის რესპონდენტების ნახევარზე მეტი ასახელებს სროლას, სულ მცირე, თვეში ერთხელ მაინც, ხოლო მეოთხედი 2010 წლის ივლისის შემდეგ დაკავების შემსწრე ერთხელ მაინც ყოფილა. მართლაც, ამ ჯგუფის მოსახლეობა ყველაზე დაუცველად გრძნობს თავს და ადმინისტრაციული გამყოფი ხაზისა და მისი სტატუსის გამო ძალადობის განახლების ყველაზე მეტად ეშინია. ამ ჯგუფში გამოკითხულები ყველაზე შესაძლო გამომწვევ მოვლენად სროლას ასახელებენ. ნიქოზ-მერეთის მსგავსად, ამ ჯგუფში მოსახლეობა ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მეორე მხარესთან ყველაზე ნაკლებ კავშირს ინარჩუნებს. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ უმწვავეს საკითხებად ქონებრივი და საცხოვრებელი პრობლემები მიიჩნევა.

ნიქოზ-მერეთი

ნიქოზ-მერეთის მოსახლეობა თავს 'ფრონტის ხაზზე' მოიხარებს. ომის შედეგად ისინი ფსიქოლოგიურად ყველაზე მეტად დაზარალებულნი არიან. ეს ჯგუფი დაცარიელების მხრივ მეორე ადგილზეა. მოსახლეობა, ატოც-დირბის შემდეგ, ასევე მეორე ადგილზეა ინციდენტების მომსწროებისა და მათზე წუხილის თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, სხვა თემების საპირისპიროდ, ნიქოზ-მერეთში უსაფრთხოების განცდა დასტაბილურდა. მიუხედავად იმისა, რომ თავს უფრო დაცულად გრძობენ, ფიქრობენ, რომ მდგომარეობა მათ თემში გაუარესდა; ამას ფულის შოვნის შემცირებული შესაძლებლობები განაპირობებს. ამ ჯგუფის რესპონდენტებს სხვებზე მეტად სჯერათ, რომ 2011 წელს ძალადობის განახლება მოსალოდნელია და ჩართულობის ღონისძიებებს ყველაზე ნაკლებად უჭერენ მხარს. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ყველაზე მწვავე საკითხებად სოციალური დახმარების დაბალი დონე და თავდასხმებისა და გატაცებებისგან არაადეკვატური დაცვა მიიჩნევა.

ფლავისმან-ბერშუეთი

ფლავისმან-ბერშუეთი ნიქოზ-მერეთთან შედარებით უფრო იზოლირებულიცაა და მასზე ნაკლები დახმარებაც მიიღო; ის მესამე ყველაზე დაუცველი ჯგუფია. ამ ჯგუფის უფრო მეტი რესპონდენტი ფიქრობს, რომ მდგომარეობა მათ თემში გაუარესდა, რასაც ფულის შოვნის შესაძლებლობების შემცირებას მიაწერს. მართლაც, ეს ერთადერთი ჯგუფია, რომელმაც სამხრეთ ოსეთის ბაზარზე ხელმი-უნწდომლობა თემის მწვავე პრობლემად დაასახელა. ამ ჯგუფის რესპონდენტები სხვებზე მეტად ასახელებენ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაწვევას ძალადობის განახლების პოტენციურ მიზეზად. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობა წუხს ვაჭრობაზე ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის კონტროლთან დაკავშირებით კონფლიქტის შესაძლო გამწვავებით გამოწვეული უარყოფითი გავლენის გამო. ნითელუბან-ლამისყანის შემდეგ, ამ ჯგუფის მოსახლეობას გამყოფი ხაზის მეორე მხარესთან ყველაზე ხშირი ურთიერთობა აქვს, თუმცა ფიქრობენ, რომ ამ ურთიერთობების შენარჩუნება სულ უფრო და უფრო რთულდება. ნიქოზ-მერეთის მსგავსად, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ყველაზე მწვავე საკითხებად სოციალური დახმარების დაბალი დონე და თავდასხმებისა და გატაცებებისგან არაადეკვატური დაცვა მიიჩნევა.

ნითელუბან-ლამისყანა

ნითელუბან-ლამისყანის მდგომარეობა სხვა ჯგუფებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამ რეგიონის თემები კონფლიქტის ზონასთან სიახლოვეს ყველაზე ნაკლებად განიცდიან და გაუკაცრიელებაც ნაკლებად შეეხოთ. ამასთან, მოსახლეობა ფიზიკური უსაფრთხოების ინციდენტების მომსწრე იშვიათად ხდება; ამიტომაც მას თემის წინაშე არსებულ მწვავე პრობლემად ან პირად საფრთხედ არ ასახელებს. სამაგიეროდ, თემი წყალზე, საძოვრებსა და შემაზე ხელმიუნწდომლობის გამო წუხს. მართლაც, ამ არეალის მოსახლეობა თავს უმეტესად დაცულად გრძობს. ეს იმიტომ, რომ სოფლების ეს ჯგუფი თავდაპირველად ცხინვალის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს არ ესაზღვრებოდა. კონფლიქტმა მათზე მხოლოდ მას შემდეგ იმოქმედა, რაც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ოსურმა და რუსულმა სამხედრო ძალებმა ამ ჯგუფის მოსახლურე ახალგორის რაიონი დაიკავეს. აქაური თემები ეთნიკურად შერეულია და გამყოფი ხაზების მეორე მხარეს მყოფ მეგობრებსა და ნათესავებთან კავშირებს ინარჩუნებენ. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ყველაზე მწვავე საკითხად კი გაადგილების თავისუფლება მიიჩნევა.

დანართი 1: მეთოდოლოგია

ეს კვლევა 2010 წლის დეკემბერში და 2011 წლის იანვარში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს ემყარება. თითოეული ასეთი გამოკითხვა ოჯახების გამოკითხვასა და ფოკუს-ჯგუფებში რამდენიმე დისკუსიას მოიცავს. მომდევნო გამოკითხვა 2011 წლის დასასრულს იგეგმება.

მეთოდოლოგიის შემუშავება 2010 წლის აპრილში დაიწყო. ჩატარდა რამდენიმე ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, რომელთა მიზანი იყო, უფრო ცხადად გაგვეგო, თუ როგორ ესმით თემებს ცნებები: „თემი“, „უსაფრთხოება“, „კონფლიქტი“. გარდა ამისა, მოგვეჩვენა თემების წახალისების გზები უსაფრთხოების პრობლემების იდენტიფიკაციასა და შესაბამისი ზომების შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად, ასევე, თემებსა და უსაფრთხოების დამცველთა შორის მეტი ჩართულობის მისაღწევად.³²

ოჯახების გამოკითხვა 2010 წლის დეკემბერში ჩატარდა. ოთხი სამიზნე სოფლების ჯგუფიდან სულ 789 ადამიანი გამოკითხა (ატოც-დირბი – 9 სოფელი, 3040 ოჯახი; ნიქოზ-მერეთი – 13 სოფელი, 3435 ოჯახი; ფლავისმან-ბერშუეთი – 17 სოფელი, 6164 ოჯახი; ნითელუბან-ლამისყანა – 16 სოფელი, 2272 ოჯახი). ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გაყოლებაზე მდებარე მხოლოდ ის სოფლები შეირჩა, სადაც მკვლევარებს ჩასვლა შეეძლოთ. როგორც გამოირკვა, გამყოფი ხაზიდან სულ რამდენიმე კილომეტრში მდებარე თემებშიც კი მდგომარეობა ნორმალურს დაუბრუნდა.³³

ნიმუში კლასტერების ორი დონისგან შედგებოდა. თითოეული სოფელი პირველი დონის ჯგუფს შეადგენდა, თითოეული სოფლის შიგნით მდებარე თითოეული ოჯახი – მეორე დონის ჯგუფს. თითოეული სამიზნე ჯგუფის შიგნით სოფლების შერჩევა სიდიდის პროპორციული აღბათობის მიხედვით მოხდა. თითოეულ სოფელში კომლები სოფლის ცენტრიდან სისტემური გამორჩევის გზით შეირჩა. თითოეულ კომლში რესპონდენტები დაბადების თარიღის მიხედვით შეირჩა. მთლიანობაში, გამოკითხულთა 39,4% მამაკაცი იყო და 60,6% – ქალი (40,8% ანდ 59,2% სკალირებით). ყველა რესპონდენტის ასაკი 18 წელს აღემატებოდა.

გამოკითხვის შედეგების წინასწარი ანალიზის შემდეგ დისკუსიები ფოკუს-ჯგუფებში 2011 წლის იანვარში ჩატარდა, რომელთა მიზანი რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე დამატებითი ინფორმაციის მიღება იყო: 1) ინფორმაციის წყაროები და მედიის როლი; 2) უსაფრთხოების დამცველთა ეფექტიანობა; 3) თემის უსაფრთხოების განმტკიცების გზები; 4) ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მეორე მხარის მაცხოვრებლებთან კავშირის სიხშირე და სახეობა.

შეირჩა ოთხი წარმომადგენლობითი სოფელი – ერთი თითოეული სამიზნე არეალიდან. ყველა წარმომადგენლობით სოფელში გამოვლინდა 20 ადამიანი, ყოველი ოცკაციანი სიიდან ათი შეირჩა და ათიც დამატებით სიაში მოხდა. მონაწილეთა არჩევისას ყველა ფოკუს-ჯგუფში დაცული იყო პროპორცია – ხუთი ქალი და ხუთი მამაკაცი, 18-იდან 35 წლამდე და 36 წლის ზემოთ.

მონაწილეთა ანონიმურობის დაცვის მიზნით, CRRC-ის და უსაფრთხო მსოფლიოს გადაწყვეტილებით, შერჩეული სოფლების სახელები არ სახელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თემების ძალიან მცირე ზომებიდან გამომდინარე, ამ ანგარიშში მოცემული ინფორმაცია მონაწილეთა საიდენტიფიკაციოდ შეიძლება საკმარისი ყოფილიყო. ფოკუს-ჯგუფების დროს მოდერატორი კითხვებს წინასწარ შემუშავებული გეგმით სვამდა. ეს იყო ოთხი მთავარი კითხვა და რამდენიმე დამატებითი შეკითხვა. მოდერატორი დებატების სტიმულირების და დისკუსიის კალაპოტში დასაბრუნებლად ჩაძიების ტექნიკას მიმართავდა. სრული ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ და მონაცემთა ბაზა მოცემულია CRRC-ის ვებ-გვერდზე.

32 იხილეთ Tatum J, Viefhues M and Wood D, Community, Security & Participation in Shida Kartli after the August War, (Saferworld, 2010)

33 იქვე.

უსაფრთხო მსოფლიოს მუშაობის მთავარი მიმართულებებია ძალადობრივი კონფლიქტის თავიდან აცილება და უსაფრთხოებისადმი ერთობლივი მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა. ორგანიზაცია თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, საერთაშორისო და სამოქალაქო ორგანიზაციებთან, რათა ადვოკატირების, კვლევებისა და პოლიტიკის შემუშავებით, და სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერის მეშვეობით ხელი შეუწყოს უსაფრთხოებისადმი ქმედითუნარიანი პოლიტიკის განვითარებას.

სურათი ყდაზე: იძულებით გადაადგილებული პირები კარალეთში, 2011.

© gogroupmedia.net



ეს ანგარიში დაიბეჭდა ევროკავშირის მხარდაჭერით.
ამ ანგარიშის შინაარსი ეკუთვნის მხოლოდ მის
ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს
ევროკავშირის პოზიციას.



Saferworld
The Grayston Centre
28 Charles Square
London, N1 6HT, UK

ტელ: +44 20 7324 4646
ფაქსი: +44 20 7324 4647
ელ-ფოსტა: general@saferworld.org.uk
ვებ-გვერდი: www.saferworld.org.uk

Registered charity no. 1043843
A company limited by guarantee no. 3015948

ISBN 978-1-904833-68-0